


საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ანგარიში წარადგინა



დადოვლისწყაროს გუნდის ინიციატივით მარიამ მარის, ნიკოლოზ ჯანიშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თათბირზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა. შეხვედრას მერიის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო თანამშრომლები ესწრებოდნენ.



**წერა-კითხვის გამავრცელებელთა
საზოგადოება და განათლების სისტემა დღეს**

საქართველოში განათლებას
ოდითბანვე დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდნენ.

ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში იყო „ყვავებული ქალაქები“ შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობებით, „გიმნასიონებით“. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (III ს. II ნახევარი). IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია. ამ დიდი საქმის მოსამზადებელი საფეხურები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ: ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვა. XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპართახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

„წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების“ შექმნის იდეა 1870-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, რადგან ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებრიობის ნიშნები თანდათან იკარგებოდა, გადარჩენის ერთადერთ გზად განათლების გავრცელება რჩებოდა. ორგანიზაციის დაარსების თარიღად მისი წესდების გამოქვეყნების დღე ითვლება, რომელიც 1879 წლის 15 მაისს გაიმართა.

„დანესებას“ ხელი მოაწერეს საზოგადოების თავმჯდომარემ - დიმიტრი ყიფიანმა და გამგეობის წევრებმა: ილია ქავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილ-

მა, ივანე მაჩაბელმა, ნიკო ცხვედაძემ და რაფიელ ერისთავმა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, 1879 წელსვე, მთელი საქართველოს მასშტაბით, აქტიური მოღვაწეობა დაიწყო და საარქივო მასალის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობა აფხაზეთიდან ისტორიული ჰერეთის (საინგილოს) ჩათვლით მიმდინარეობდა.

საზოგადოების უმთავრესი მიზანი ქართველი ხალხის ქართულ ცნობიერებაში დაბრუნება იყო, რაც არა მხოლოდ იმდროინდელი, არამედ თანამედროვე საქართველოს გამოწვევადაც რჩება. ხარისხიანი განათლების პრობლემა კვლავ „აქილევსის ქუსლია“ ქართული საგანმანათლებლო სისტემისათვის.

არაერთი კვლევის შედეგის მიხედვით, ქართველი მოსწავლეები ვერ აკმაყოფილებენ იმ სტანდარტს, რომელსაც თანამედროვე მოთხოვნები გვიყენებს.

საზოგადოებრივი განათლების ხარისხი უმაღლესად მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოების, ასევე პიროვნების განვითარებისთვის, რადგანაც იგი ხელს უწყობს ქვეყნის პროგრესსა და კეთილდღეობას. გამოწვევად რჩება განათლების დაბალი ხარისხი, რაზეც მიუთითებს საქართველოს დაბალი

მაჩვენებელი მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო კვლევებში, როგორიცაა მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ძირითადი კვლევა და ნიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS). საქართველოში 15 წლის ასაკის მოსწავლეთა ორი მესამედი ვერ აკმაყოფილებს საბაზისო სტანდარტებს ფუნქციურ კითხვაში, საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში. დაბალ აკადემიურ მოსწრებაზე მეტყველებს ასევე, საშუალო განათლების საფეხურზე სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი და შემდეგ ამ ახალგაზრდების უუნარობა, დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები. აღნიშნული მდგომარეობა იწვევს ციკლურ სიღარიბეს, რომელიც თაობებზე გადადის და ხელს უშლის სახელმწიფოს კვალიფიციურ მუშახელზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებაში“ - ასეთია შეფასება, რომელიც არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერაა ჩატარებული ნიგნიერების დონის შესაფასებლად.

ასეთი შეფასების საპირწონედ ბევრი საქართველოში ახალი წერაკითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების დაარსების იდეითაც გამოვიდა.

დიდი ხანია, რაც საქართველოს

საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმები მიმდინარეობს, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერ-ჯერობით ვერ დაიდო. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა მონესრიგდა, ბევრი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აშენდა, მაგრამ ამ ფაქტორმა განათლების დონე ვერ ასწია. განათლების ექსპერტთა ერთი ნაწილი ამბობს, რომ პრობლემის სათავე პედაგოგთა კვალიფიციურობაშია, მეორე ნაწილი კი სახელმძღვანელოებზე აკეთებს აქცენტს. ფაქტი ერთია, განათლების სისტემაში არსებული პრობლემებს ვერც პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებმა უშველა და ვერც ხელფასების ზრდამ.

მშობელთა ერთმა ნაწილმა კერძო სკოლების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მისაცემად თანხას არ ზოგავს. თუმცა, ეს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ფუფუნებად რჩება და უმრავლესობა იძულებულია, კვლავ საჯარო სკოლებში უფასო განათლების იმედად დარჩეს.

განათლების სისტემის რეფორმირებაზე მსჯელობისას ხშირად საუბრობდნენ რეპეტიტორობის ინსტიტუტზეც და მის დახვეწაზეც. ამბობდნენ, რომ საგნის პედაგოგს მოსწავლის რეპეტიტორობის უფლება აღარ უნდა ჰქონოდა, რათა შესაძლო კორუფციის ნიშნები გამორიცხულიყო, მაგრამ ეს ინიციატივა ინიციატივად დარჩა...

უპატი ჯიუთია-საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებსაც კი, იშვიათი გამოწვევის ბარდა. უჭირთ საკუთარი აზრის გადმოცემა და სათანადოდ ვერ ფლობენ ანალიზის უნარს. პრობლემა კომპლექსური და სერიოზული მიდგომა სჭირდება. როგორც ბავთ „შირატან“ საუბრისას აღნიშნა ჩვენმა რამდენიმე რესპოდენტმა, დღეს ისეთივე განათლების მამები სჭირდება ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე, როგორც თავის დროზე წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების შექმნის ინიციატორები იყვნენ.

მომზადდა

~~ინგა~~ შიოლაშვილი



„პირნათლად მოვიხადე ჩემი ვალი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე“

„ყოველთვის, ყველა თანამდებობიდან ერთგულად და უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, პირნათლად მოვიხადე ჩემი ვალი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ასევე, ჩვენი პარტიის წინაშე, რითაც ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში“, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი ლარიბაშვილმა მას შემდეგ აღნიშნა, რაც მან პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისივე თქმით, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, ის ბიძინა ივანიშვილის გუნდთან ერთად აქტიურად მუშაობდა ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფისთვის.

„დღეს მინდა გაგაცნოთ პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება, ბოლო რამდენიმე კვირაა არ წყდება სპეკულაციები ჩემს მომავალ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საზოგადოების წინაშე თავს ვალდებული ვიქნები არსებულ შეკითხვებს გავცე ამომწურავი პასუხები. დღემდე თითოეული ის ნაბიჯი, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამიდგამს, კონკრეტულ მიზანს ეფუძნებოდა - ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მსახურებას და ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებას. შესაბამისად, ჩემი მთავარი მოტივაცია, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი პატრიოტის, ყოველთვის იყო სამშობლოს სიყვარული და აქედან გამომდინარე, ჩემი გულწრფელი და ძლიერი სურვილი, რომ ერთი მყარი აგური მეც დამედო ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად.

2011 წელს, ოქტომბერში, მივიღე ჩემი ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როცა ბიძინა ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში და მე მის პოლიტიკურ გუნდში გავერთიანდი. მაშინ გახსოვთ ჩემი ოჯახი ძალიან დაზარალდა, ვინაიდან ჩემი ოჯახის წევრი უკანონოდ ჩასვეს ციხეში და სააკაშვილის რეჟიმს ერთი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, მძევლად ჰყავდა აყვანილი. ჩვენი ბრძოლა გამარჯვებულად

ბოთ არ დასრულებულიყო, ჩვენი ოჯახის წევრს დავკარგავდით, მას ციხეში მოკლავდნენ და ალბათ, მეც დიდი ხნით მომიწევდა ციხეში წასვლა. რაც ყველაზე მთავარია, დღეს ქვეყანა აღარ გვექნებოდა. მაღლობა ღმერთს, საბედნიეროდ, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, ქვეყნის გადარჩენის ბრძოლა ჩვენი პარტიისა და ხალხის, ქვეყნის გამარჯვებით დასრულდა და საკუთარი ხალხის მტერი და ეროვნული ინტერესების მოღალატე, მჩაგვრელი და მოძალადე რეჟიმი ხელი-სუფლებას საბოლოოდ ჩამოვაშორეთ. 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, მე წილად მხვდა პატივი ბიძინა ივანიშვილის გუნდთან ერთად აქტიურად მუშაობა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფისთვის, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაძლიერებისა და გამყარებისთვის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვისთვის. მოგეხსენებათ, რომ ამ პროცესში ორჯერ ვიყავი პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი. ბოლო ერთ წელიწადზე მეტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოზიციიდან ვემსახურები საქართველოს. მიემაყება, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე ჩემი საქმიანობის პერიოდში, თავდაუზოგავად ვიშრომე, გუნდთან ერთად ბევრი საქმეც გავაკეთე და ბევრი გამონგვევაც დავძლიეთ. სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, უზრუნველყავით მშვიდობა, სტაბილურობა და ქვეყნის განვითარება. გავაძლიერეთ და გავამყარეთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ყოველთვის, ყველა თანამდებობიდან ერთგულად და უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და დღეს თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ რამდენადაც ეს შეეძლო და მოეახერხე, უფლის შტენვენითა და წყალობით, პირნათლად მოვიხადე ჩემი ვალი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ასევე, ჩვენი პარტიის წინაშე, რითაც ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში“ - განაცხადა ლარიბაშვილმა.

მერი წიგნის ავტორს შეხვდა



დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანაშვილმა ახლადგამოცემული წიგნის ავტორს ლამარა ჯანაშვილს სამუშაო კაბინეტში უმასპინძლა. ფიროსმანის მკვლევარის-ანზორ მაძლარაშვილის ბიოგრაფიული წიგნი „ფიროსმანის სიყვარულში ჩაძირული ადამიანი“ დედოფლისწყაროს მერიის დაფინანსებით გამოიცა და ღვაწლმოსილი ადამიანის ცხოვრებიდან საინტერესო დეტალებს ეთმობა.

„საინტერესო შეხვედრა მექონდა მერთან, წიგნები მიეუტანე და მადლობა გადავუხადე მხარდაჭერისთვის. მისი თანადგომის გარეშე ეს მასალა დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამიტომაც დასაფასებელია, რომ მან ამ მასალის მნიშვნელობა დაინახა და ანზორ მაძლარაშვილის ღვაწლის დაფასება შეეძლია. ტელეპრეზენტაცია

„ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში უკვე გვექონდა, მაგრამ დედოფლისწყაროშიც უნდა შედგეს წიგნის წარდგენა. ტირაჟი სამუხაროდ მცირეა, ამიტომ ვისაც ინტერესი აქვს, შეუძლია დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაეცნოს.“ — უთხრა „შირაქს“ ლამარა ჯანაშვილმა.

ანზორ მაძლარაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში გაზეთ „ახალი შირაქის“ თანამშრომელიც იყო, შემდეგ კი სოფელ მირზანში ფიროსმანის სახელმწიფო დირექტორად დაინიშნა. მისი ძალისხმევით გაიხსნა თბილისში მუზეუმიც. მისი დამსახურებაა ფიროსმანის ორიგინალების მოგროვება და მუზეუმისთვის გადაცემა. ანზორ მაძლარაშვილი გასული წლის ივლისში, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის მშობლიურ სოფელ ზემო მაჩხანში დაკრძალეს.

„მზად ვარ, თავი არ დავწოგო“

ინფრასტრუქტურის ახალი მინისტრი რევაზ სოხაძე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სამინისტროს თანამშრომლებს დღეს წარუდგინა.

„ნინ გვაქვს ძალიან დიდი ამოცანები, მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც არის ბოლომდე მისაყვანი, დასაწყები და ამ საქმეს სჭირდება ძლიერი ხელმძღვანელი, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი ადამიანი და ზუსტად ამ თვისებებით გამოირჩევა ბატონი რევაზი. მინდა, მას წარმატებები ვუსურვო მინისტრის პოზიციაზე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თავის მხრივ სოხაძემ განაცხადა, რომ მზადაა „თავი არ დაზოგოს“.

„მინდა, პრემიერ-მინისტრს კიდევ ერთხელ მაღლობა გადავუხადო. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ასევე მაღლობა მინდა გადავუხადო ბატონ ირაკლი ქარსელაძეს. ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელოთ საქმიანობა, ის ამოცანები, რაც არის დასახული, შევასრულოთ კეთილსინდისიერად და ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას. მზად ვარ,

„პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება“

ზურაბ ჩაჰრაშვილი: „სამომხმარებლო ქსელში არსებული პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება, ისევე როგორც აქტიურად მონაწილეობა თვითონ სანარმოებში“.

საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა რძეში აფლატოქსინის თემასთან დაკავშირებული დეტალები ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განმარტა.

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გამჭვირვალობა, საზოგადოების ინფორმირება, მასთან კომუნიკაცია, როგორც მომხმარებლის ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, ჩვენი - სურსათის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტია.“

პირველი და მნიშვნელოვანი - კომპანია „სოფლის ნობათის“ რძის კონკრეტულ პარტიებში დაფიქსირებულ აფლატოქსინთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იმოქმედა საერთაშორისო სტანდარტის და პრაქტიკის შესაბამისად.

დარღვევის გამოვლენისთანავე, საზოგადოებას მივანოდეთ სრული ინფორმაცია. სააგენტოსთან აქტიურად ითანამშრომლა კომპანიამ. დღეს შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყველა ის პარტია, სადაც დარღვევა იყო, სააგენტოს ზედამხედველობით, სრულად არის ამოღებული ქსელიდან.

სააგენტოს მისმართით დაიწვა კითხვა დახლებზე განთავსებულ პროდუქციასთან დაკავშირებით. აქაც კიდევ ერთხელ განვმარტავ - არ არსებობს არანაირი შემფორმების საფუძველი. სამომხმარებლო ქსელში არსებული პროდუქცია მაქსიმალურად კონტროლდება, ისევე როგორც აქტიურად მონაწილეობა თვითონ სანარმოებში. ორიოდ სიტყვით შევხებით რძის და რძის პროდუქციის წარმოებაში არსებულ ვითარებას. ეს ის სექტორია, რომელიც გამოირჩევა მაღალი სტანდარტებით და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია, რაც კიდევ ერთი წინაპირობაა იმისა, რომ მომხმარებლის ინტერესები უმთავრესი პრიორიტეტია“, - აღნიშნა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, დარღვევა გამოვლინდა იმპორტირებულ რძეში, შესაბამისად, საბაჟო სამსახურთან თანამშრომლობით, სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, საზღვარზე კონტროლი გამკაცრდება.

პრესკონფერენციის დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებიც ესრებოდნენ. სურსათის ეროვნულ სააგენტოში რძის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან და ასოციაციების წარმომადგენლთან სამუშაო



რომ თავი არ დავზოგო. ჩვენი პრინციპი არის გულწრფელი მუშაობა და დარწმუნებული ვარ, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროში ეს ტრადიცია გაგრძელდება და ერთად ძალიან ბევრ მნიშვნელოვან და კარგ საქმეს გავაკეთებთ“, - განაცხადა რევაზ სოხაძემ.

ცნობისთვის, გუშინ, 24 აპრილს, გახდა ცნობილი, რომ ახალგაყოფილი ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტი ირაკლი ქარსელაძემ დატოვა. მის ნაცვლად, რევაზ სოხაძე დანიშნეს.

შეხვედრა გაიმართა შეხვედრას, რომელშიც სექტორის 40-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, ხაზი გაესვა ბიზნესოპერატორისა და სააგენტოს ვალდებულებებს, თანამშრომლობასა და საერთო ძალისხმევას, რაც უზრუნველყოფს სარეალიზაციო ქსელში განთავსებული რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობასა და საიმედოობას. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა ყურადღება კონტროლის მექანიზმებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძისა და რძის მწარმოებელ კომპანიებსა და სარეალიზაციო ობიექტებში 4786 სახელმწიფო კონტროლი განახორციელა;

დარღვევების მაჩვენებელია, აპრილის მონაცემებით, 3,3% შეადგინა. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს წელი რძის კვლევა სხვადასხვა მაჩვენებელზე, კერძოდ:

• **ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების წარჩენი ნივთიერებების გამოსაკვლევა მიმდინარე წელს აღებული იქნება 300 ნიმუში;**

• **რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრისათვის - 300 ნიმუში;**

• **ბრუტელოზზე გამოსაკვლევა - 200 ნიმუში;**

• **ყველში სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის გამოსაკვლევა - 50 ნიმუში;**

• **ყველში კუაგულაზა დადებითი სტაფილოკოკუს აურეუსის კვლევისთვის - 50 ნიმუში.**

• **სასმელ რძეში აფლატოქსინ M1-ის კვლევისთვის - 100 ნიმუში.**

• **რძესა და რძის პროდუქტებში (მათ შორის, ბავშვთა კვება) ტყეის შემცველობის განსაზღვრისათვის - 20 ნიმუში;**

• **სალმონელასა და ლისტერიას გამოსაკვლევა-165 ნიმუში**

აღსანიშნავია, რომ რძისა და რძის პროდუქტების ნიმუშების აღება მოხდეს სათანადო წესითა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით, რათა გამოირიცხოს საკვლევი ნედლეულის დაბინძურება.

სურსათის ეროვნული სააგენტო რძის მწარმოებელ კომპანიებს ინტენსიურად, წელიწადში საშუალოდ 10-ჯერ ამოწმებს. კონტროლი „ფერმიდან სუფრამდე“ პრინციპის დაცვით მოიცავს წარმოების სრულ ჯაჭვს, ასევე ლაბორატორიულ კვლევას სხვადასხვა მაჩვენებელზე. გასულ, 2024 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 17 ათასი სახელმწიფო კონტროლი განახორციელა, დარღვევების მაჩვენებელია 3,2% შეადგინა.

უცხოელი ჟურნალისტები საქართველოს ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სამხრეთ კორეის რეიტინგული შემეცნებით სამაუწყებლო არხის **EBS Korea** გადამდეგ ჯგუფს უმასპინძლა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მედიატური სამხრეთ კორეაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით შედგა. კორეის ტელევიზიის ჟურნალისტები და ოპერატორები თბილისს, მცხეთას, თელავს, სიღნაღს, დედოფლისწყაროს, სტეფანწმინდას, ნალკას, ფარავნის ტბას, ვარძიას, ახალციხეს, სამთო კურორტს გოდერძის, ლაჭაღს, მესტიას და უშგულს ესტუმრნენ. მედიის წარმომადგენლები საქართველოს სათავადასავლო ტურისტული პოტენციალის, სამთო კუ-

რორტების, კულტურის, გასტრონომიისა და ღვინის შესახებ დოკუმენტურ ფილმს ამზადებენ. **EBS** კორეა-ს როგორც ონლაინ პლატფორმას, ასევე ტელევიზიას მილიონობით მაყურებელი ჰყავს.

ტურის მიზანია საქართველოს პოპულარიზაცია სამხრეთ კორეაში და მაღალ მხარჯველი ტურისტული ნაკადების მოზიდვა სამხრეთ კორეიდან საქართველოში.

აპრილის მეორე ნახევარში კი ბელგიის მაღალრეიტინგული გამოცემის **Sabato** ჟურნალისტები საქართველოს ტურისტულ მიმართულებას ეცნობიან. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ჟურნალისტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ.

უზუსტეს გუნდური თასი კვლავ დედოფლისწყაროში დაბრუნდა

ემოციებით და ბრძოლებით დატვირთულმა დღეებმა სასიხარულოდ ჩაიარა და საქართველოს უზუსტეს გუნდური თასი - 2016, 2023 და 2024 წლების შემდეგ, 2025 წელსაც კვლავ დედოფლისწყაროში დაბრუნდა.

როგორც დედოფლისწყაროს უზუსტეს გუნდში ამბობენ, 6 ჩემპიონი დედოფლისწყაროდან, ეს ძალიან კარგი შედეგია ასეთი მაშტაბის ტურნირზე.

ჩემპიონები გახდნენ:

- * ნიკოლოზ ხარაზიშვილი;
- * დავით ბუაძე;
- * იოსებ ყაბანაშვილი;
- * დავით ქადაგიძე;
- * ერეკლე ქორფაშვილი;
- * ბესო გლახოშვილი;

მეორე ადგილზე გაიყვანნენ:

- * ანრი კილაძე,
- * გაბრიელ ზოროლოლიანი,
- * მიხეილ ზოროლოლიანი,
- * ერეკლე ბიკაშვილი,

მესამე ადგილზე დაიკავეს:

- * კონსტანტინე ბონდარენკო,
- * გიორგი სმოვემა,
- * ზაქარ სამნიძე,
- * იოსებ ჯავახიშვილი,
- * თორდვა ნაროზაშვილი,
- * ირაკლი ყორჩიაშვილი,
- * ლუკა კვანჭილაშვილი.

ასევე ძალიან მამაცურად იბრძოლეს გუნდის სხვა მონაწილეებმაც, თუმცა, სამწუხაროდ, დიდ კონკურენციაში, საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს.



ბიორგები სარდალავშილი - მეორე ჩემპიონი გახდა

23 აპრილს, მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცაში, ძიუდოს ევროპის ჩემპიონატმა აიღო სტარტი, რომელიც 27 აპრილს, გუნდური პირველობით დასრულდა. საქართველოს ნაკრებს მძიმე სტარტი ჰქონდა, რადგან ნაადრევად გამოეთიშნენ - ვაჟა მარგველაშვილი, თემურ ნოზაძე და ჯუღიყა როდონაია. თუმცა, პირველივე დღე მაინც ტრიუმფით დავასრულეთ, რადგან 21 წლის გიორგი სარდალავშილმა მსოფლიო ჩემპიონობას, ევროპის ჩემპიონობაც მიუმატა. სარდალავშილი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მონტენეგროში საქართველოს ჰიმნი პირველივე დღეს აჟღერდა, ეს სამთაწყაროელმა ძიუდოისტმა გიორგი სარდალავშილმა შეძლო.

ფინალში ქართველმა ძიუდოისტმა რუსი მეტოქე იუკოთი დაამარცხა. სარდალავშილის მეტოქე IJF-ის დროშის ქვეშ მოასპარეზე რუსი აიუბ ბლიევი იყო, რომელმაც 1/2 ფინალში ლუკა მხეიძეს მოუგო. ნახევარფინალში სარდალავშილმა ესპანელი ფრანცისკო გარიგოსი შიდადებით დაამარცხა. მანამდეც წარმატებული იყო მისი გამოსვლა. გიორგიმ სომეხ ამინ ანდრეიანს იპონით მოუგო და ნახევარფინალში ასპარეზობის შანსი მიიღო. იქამდე სარდალავშილმა ვაზარით მოუგო უნგრელ მარტონ ანდრასის და 1/4 ფინალში გავიდა.

„უკვე ევროპის ჩემპიონი! პირველი ქართველი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი 21 წლის ასაკში. ჩვენ ვწერთ ისტორიას, მაღლობა ყველას დახმარებისთვის;



ეს მედალი ჩემს მეორე ნახევარს!“ - დანერა გიორგიმ სოციალურ ქსელში.

„ჩემი ყველა გუნდელი ევროპის ჩემპიონია და ეს მინდოდა მეც! ვიცი, რომ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონობა ერთად ძალიან რთულია, ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ. დღეს ჩემს მწვრთნელს ვუსმენდი, მაგრამ ჩემი ძმაც აქ იყო და ძალიან სასიამოვნო იყო მისი რჩევების მიღება. მომავალ წელს მოუთმენლად ველოდები ტიტულის დაცვას, რადგან, 2026 წლის ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს, საქართველოში ძალიან უყვართ ძიუდო და ეს დიდ მოტივაციას მაძლევს.“

– აღნიშნა სარდალავშილმა მედიასთან.

შეგახსენებთ, ნინო ოლიმპიადის მწვერვალია, რომელიც 2028 წელს ლოს ანჯელესში გაიმართება. გიორგი სარდალავშილი კი 24 წლის ასაკში შეხვდება ლოს ანჯელესის ოლიმპიადას.

ნიგნის ჩუქება ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და აზრიანი შესტია, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს. ის არა მხოლოდ მატერიალური საჩუქარია, არამედ ინტელექტუალური, ემოციური და სულიერი კავშირის გამოხატულება. ნიგნის ჩუქება მიაწოდებს იმაზე, რომ ჩუქების მომენტში ჩვენ ვფიქრობთ იმ ადამიანზე, ვისაც ვჩუქენ — ვუფასებთ მის ინტერესებს, გრძნობებს და სურვილებს.


უპირველეს ყოვლისა, ნიგნი ცოდნის წყაროა. მისი ჩუქებით ჩვენ სხვებს ვუზიარებთ ახალ იდეებს და სამყაროს პერსპექტივებს. ეს შეიძლება იყოს ინსპირაცია, მოტივაცია ან უბრალოდ გონების გახსნა ახალი მიმართულებით. როცა ვჩუქენ ნიგნს, თითქმის ვეუბნებით: „ამან ჩემზე მოახდინა გავლენა და მინდა შენზეც იმოქმედოს.“ ეს ქმნის საერთო გამოცდილებას, თემას, რომელზეც შემდგომ შესაძლებელია საუბარი, აზრების გაზიარება და ერთმანეთის უკეთ გაცნობა.

ნიგნის ჩუქება ასევე მიუთითებს გემოვნებისა და ურთიერთობის სიღრმეზე. ნიგნი არ არის უბრალო ნივთი — ის ემოციური გზავნილია. ადამიანი, ვინც არჩევს კონკრეტულ ნიგნს საჩუქრად, დიდ დროს და ფიქრს უთმობს იმის გააზრებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ნიგნს, რომელსაც საჩუქრად აირჩევს.

რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ბავშვის აღზრდაში მამას ყველაზე მცირე წვლილი მიუძღვის და რომ ყველაფერს დედა იღებს საკუთარ თავზე, მამის როლი მაინც შეუფასებელი და უზარმაზარია.

მაგალითად, ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული მასშტაბური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვები, რომლებიც ქალებს შედარებით

23 აპრილი წიგნის ჩუქების დღე



ბას, თუ რამ შეიძლება დააინტერესოს და გაახაროს ადრესატი. ამდენად, ასეთი საჩუქარი ხშირად მეტად პირადული და ღრმაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა მატერიალური ნივთი.

გარდა ამისა, წიგნი ხანგრძლივობის სიმბოლოა. მაშინ, როცა სხვა საჩუქრებმა შესაძლოა სწრაფად დაკარგონ ღირებულება ან დაივიწყონ, წიგნი რჩება — თაროებზე, გულში, გონებაში.

ადამიანს შეუძლია კვლავ და კვლავ მიუბრუნდეს მას, გადახედოს, გადაფურცლოს და კვლავ განიცადოს იმ მომენტის მნიშვნელობა, როცა ეს წიგნი მიიღო საჩუქრად.

წიგნები ასევე ავითარებენ ადამიანში კრიტიკულ აზროვნებას, ემპათიას და შემოქმედებითობას. ისინი აღვიძებენ კითხვებს და პასუხების ძიების სურვილს. ამიტომ, მათი ჩუქება არა

მხოლოდ სიხარულის, არამედ განვითარების ხელშეწყობის საშუალებაა არის.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ წიგნის ჩუქება კულტურული ტრადიციების ნაწილიც არის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, წიგნი როგორც საჩუქარი, ასოცირდება განათლებასთან, პატივისცემასთან და მზრუნველობასთან. მაგალითად, ისლანდიაში ახალი წლის წინა დღეს ტრადიციულად ჩუქნიან წიგნებს — ამ ჩვეულებას „წიგნების ღამე“ ჰქვია. ასეთი პრაქტიკა ადასტურებს, რომ წიგნის ჩუქება სიღრმისეული და ტრადიციულად დაფასებული მოქმედებაა.

დასასრულს, წიგნის ჩუქება მართივი, მაგრამ ღრმა გზაა იმის სათქმელად: „მიყვარხარ“, „გაფასებ“, „მინდა გაიზარდო და განვითარდე“. ეს არის ინვესტიცია ადამიანის შინაგან სამყაროში, რაც საბოლოოდ გვაახლოებს ერთმანეთთან. ამიტომ, როცა გვინდა გამოვხატოთ ყურადღება, სიყვარული ან დაფასება — ვაჩუქოთ წიგნი. ეს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და აზრიანი საჩუქარია, რაც შეიძლება ვუსახსოვროთ.

✍ **ელზა ხარაშვილი**

მამის ასაკი და ბავშვის ჯანმრთელობა

ასაკოვანი მამაკაცებისგან უჩნდებათ, გაცილებით უკეთესად ვითარდებიან და ამასთან ერთად, უფრო ჯანმრთელებიც არიან.

მეცნიერთა დასკვნის მიხედვით, მამები, რომელთაც ჯერ 20 წელი არ შესრულებიათ, სამწუხაროდ, ჯანმრ-

თელი თაობის დატოვებას ხშირად ვერ ახერხებენ.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში, სპეციალისტებმა 2 მილიონი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს, რომელთაც დედების ასაკი 20-დან 29 წლამდე მერყეობდა.

აღმოჩნდა, რომ ბავშვებს, რომლებსაც 20 და უფრო მცირე ასაკის მამები ჰყავდათ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად დაბადებისთანავე ექმნებოდათ.

სამწუხაროდ, სტატისტიკა ძალიან საგალაოა: ახალგაზრდა მამების შვილები 22 პროცენტით უფრო ხშირად იღუპებიან დაბადების პირველი ოთხი კვირის განმავლობაში, 41 პროცენტი კი - პირველივე წელს.

გარდა ამისა, მოზარდი მამების შვილები საკმაოდ ხშირად დროზე ადრე და წონანაკლები იბადებიან, რასაც, ცხადია, დადებითი შედეგები არ მოსდევს.

სპეციალისტების რჩევით, მამობის-

თვის საუკეთესო ასაკის მინიმალური ზღვარი 21 წელია, მაქსიმალური კი - 60 წელი.

თავისთავად გაჩნდება კითხვა, - რატომ ხდება, რომ ახალგაზრდა მამების შვილები ყოველთვის ვერ არიან ჯანმრთელები?

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი თავად მეცნიერებსაც არ აქვთ, თუმცა მათი ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, მოვლენების ასეთი განვითარება ახალგაზრდა და ზრდასრული მამაკაცების გამოცდილებას უკავშირდებოდეს.

შედარებით ასაკოვანმა მამაკაცებმა იციან, როგორ უნდა მოიქცნენ, რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ მეუღლეს მხარში ამოუდგნენ, ახალგაზრდები კი ამ მხრივ, მაინცდამაინც, დიდ წარმატებებს ვერ აღწევენ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ პრობლემა სულ სხვაგან იმალებოდეს. ასეთია ამერიკელი მეცნიერების პოზიცია.

გასარიონ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი



„ენა დედაა ერისა..“



სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა შეუერთდა დედა ენის კვირეულს და გამართა მნიშვნელოვანი და შთაბეჭდილი ღონისძიება - „ენა დედაა ერისა“, რომელიც არა მხოლოდ დედა ენის დღის აღნიშვნას, არამედ ქართული ენისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გაღმავლებას ემსახურებოდა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლალი მებრიშვილი და დანყებითი კლასების პედაგოგი განგა ჭუჭუხაშვილი. აქტივობაში ჩართული იყვნენ I-XII კლასის მოსწავლეები, რომლებმაც თემატურად გააზრებული, მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ნომრები წარმოადგინეს.

მოსწავლეებმა გააცნეს საზოგადოებას ქართული ენის განვითარების ისტორია, ისაუბრეს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „დედა ენის“ სახელმძღვანელოზე, მხატვრულად წარმოაჩინეს ბარბარეზები, წაიკითხეს და შეასრულეს ქართული პოეზია და მუსიკალური ნომრები, რამაც ღონისძიებას განსაკუთრებულად ემოციური და პატრიოტული განწყობა მიანიჭა.

დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანბანის მხატვრულმა გაფორმებამ და თემატურმა კედლის გაზეთებმა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში ენობრივი კულტურის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მონაწილეებმა გამოავლინეს არა მხოლოდ შემოქმედებითი უნარები, არამედ ღრმა პატივისცემა მშობლიური ენისადმი. აქტივობებში ჩართულობამ გააძლიერა მოსწავლეების თვითშეფასება და გუნდური მუშაობის უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ სამომავლო სამოქალაქო



და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატრიოტო სტუმრები: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი მაია ჯანაშვილი და სამთაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ბატონი ჯემალ ღიმიტრაძე.

ღონისძიების დასასრულს ბატონმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სიყვარულით მიულოცა დედა ენის დღე ყველა იმ მოსწავლეს, პედაგოგსა და მშობელს, ვინც ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნაში მონაწილეობდა. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართული ენის დაცვის მნიშვნელობას, მის სინამდევასა და ამ ღირსების შენარჩუნებას თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში.

მონაწილე კლასები და ხელმძღვანელი პედაგოგები:

- I კლასი - განგა ჭუჭუხაშვილი;
- II კლასი - რიტა ოთარაშვილი;
- III კლასი - მარიამ ტაბატაძე;
- IV კლასი - ლია მებრიშვილი;
- V კლასი - დარეჯან პაპიაშვილი-ჩოხელი;
- VI კლასი - ფიქრია ბურჩუკური;
- VII კლასი - თამილა ნადირაშვილი;
- VIII კლასი - ნანა გახუჩიძე;
- IX კლასი - ლალი მებრიშვილი;
- X კლასი - ფრიდონ საკანელაშვილი;
- XI კლასი - ნინო მატიაშვილი;
- XII კლასი - ელენე გრიგორიადისი;

ღონისძიება „ენა დედაა ერისა“ არ იყო მხოლოდ დედა ენისადმი მიძღვნილი დღე - ის იყო სკოლის საზოგადოების ერთიანობის, შემოქმედებითი გამოხატვის და ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულების ნათელი მაგალითი. ღონისძიება დიდხანს დარჩება როგორც მოსწავლეების, ასევე მათი მშობლებისა და პედაგოგების მეხსიერებაში.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე



წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელებს ესტუმრა და ახალგაზრდებს და მათ პედაგოგს საჩუქრად წიგნები გადასცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოსწავლეებს წიგნისა და განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები სწავლას მალე ახლად რეაბილიტირებულ, თანამედროვე

სტანდარტების შენობაში გააგრძელებენ, რადგან სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა, ეს კი მოსწავლეთა მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის.

წიგნის საერთაშორისო დღე 1996 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანი განათლების გაგრძელება და კულტურული ტრადიციების ამაღლებაა. თარიღი შეირჩა იმის გამო, რომ 23 აპრილს გარდაიცვალნენ მიგელ დე სერვანტესი, უილიამ შექსპირი და ინკა გარსილა-სო დე ლა ვეგა.

დედა ენის დღე აღნიშნეს



22 აპრილის დღი სსიპ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებმა, „მე პარ დედა ენის გირი“ თემატით აღინიშნა.

კლასის დამრიგებელი, ნანა ბეგიაშვილი, საგანმანათლებლო დანიშნულების გაზრდის მიზნით, შეეცადა, რომ ღონისძიება ეკომეგობრული ყოფილიყო. ბავშვებმა მოისმინეს ინფორმაცია დედა ენის შესახებ. თეორიულ ნაწილს ახლდა პრაქტიკული აქტივობები, რამაც უფრო საინტერესო და შთაბეჭდილი გახდა გაკვეთილი.

მოსწავლეებმა მინი-ლექციის შემდეგ ნახეს ვიდეო ბუნების მრავალფეროვნებაზე, შექმნეს გამაფრთხილებელი აბრები და ჩამოაყალიბეს პრევენციული ზომების ნუსხა, რომლის დაცვაც აუცილებელია გარემოს დაბინძურების ასაცილებლად და დედა ენის გადარჩენად. ასევე მათ შეძლეს დედა ენის დახატვა, გაფორმება და სლოგანების წაწერა: „დედა ენა ჩვენი სახლია“, „გავუფრთხილოთ დედა ენას“.

აქტივობებში მშობლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები, რისთვისაც კლასის დამრიგებელმა მათ მადლობა გადაუხადა.

რა ცვლილებები იგეგმება განათლების სისტემაში?

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ზოგადი განათლების ხედვა წარადგინა და ის სიახლეები განიხილა, რომელთა შეთავაზებაც სასკოლო საზოგადოებისათვის გეგმავს. მინისტრმა, ალექსანდრე ნულაძემ განათლების სისტემის რეფორმის 4 წლიან გეგმაზე ისაუბრა.

„მნიშვნელოვანია, სკოლის 21-ე საუკუნის, თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებზე მორგება. ამ მიზნით, არაერთი სიახლე გვაქვს დაგეგმილი. მათ შორის, ფიზიკა-მათემატიკის სწავლების გაძლიერება. საბედნიეროდ, საქართველოში მათემატიკისა და ფიზიკის ძლიერი სკოლები გვაქვს. ამ სკოლების მაგალითით, გვინდა, ყველა საჯარო სკოლაში გაძლიერებული სასკოლო პროგრამა შევქმნათ. ამას თავდაპირველად საშუალო საფეხურზე, მე-11-მე-12 კლასში შევითქმნათ.“

ასევე, კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს. აქამდე კომპიუტერული ტექნოლოგიები მხოლოდ დანყებით საფეხურზე ისწავლებოდა. 2025 წლის სექტემბრიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების ახალი სტანდარტი დავამტკიცეთ. როგორც დანყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, 10 კლასის ჩათვლით, ყველა მოსწავლისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლა სავალდებულო იქნება.

მე-10 კლასიდან გვინდა მოსწავლეს არჩევანი შევთავაზოთ - თუ მას აკადემიური მიმართულებით უნდა სწავლის გაძლიერება, ასეთი მიმართულება აირ-

ჩიოს, თუ პროფესიული მიმართულებით სწავლის გაძლიერება უნდა, შესაბამისი მიმართულება აირჩიოს. ჩვენი სურვილია, რომ 2025 წლის სექტემბრიდან 100-მდე საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის არჩევა იყოს შესაძლებელი.

ჩვენი ინიციატივაა, რომ სკოლებში STEM-კლუბები შევიტანოთ. საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების ინტერდისციპლინარული სწავლების მეთოდი სკოლებში კლუბების სახით იქნება. მოეწყობა ლაბორატორიები. კლუბში მუშაობა ნებაყოფლობითი იქნება და მოსწავლეს სასკოლო საათების დასრულების შემდეგ შეეძლება დარჩენა. ამისთვის ფინანსები უკვე გამოყოფილია.

ჰუმანიტარული მეცნიერებების თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი. მშობლიური ენა - ქართული ენა და ლიტერატურა გაძლიერებული იქნება. ჰუმანიტარული მიმართულებითაც სასკოლო საზოგადოებას სხვადასხვა კლუბსა და ინიციატივას შევთავაზებთ.

ჩვენი მთავარი მოტივაცია თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებისადმი სასკოლო საზოგადოებისა და სკოლის მოსწავლეების აღჭურვაა იმ უნარებით, რაც მათ დასჭირდებათ. უდავოა, რომ ერთ-ერთი ჩინური ენაა. უნდა აღვნიშნო, ჩემთვის, ცოტა გასაკვირი იყო ის გამოხმაურება, რაც მივიღეთ. დღეს საქართველოში 7 მეორე უცხო ენის სტანდარტი მოქმედებს. მათ შორის, აღმოსავლური ენებიცაა. დაემატება მე-8, ჩინური ენის სტანდარტი. მეორე უცხო ენა მე-5 კლასის შემდეგ არჩევითია.

სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს აქამდეც ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ჩინური აერჩიათ. რამდენიმე სკოლაში ისწავლებოდა. თუმცა, სტანდარტი არ არსებობდა და მასწავლებელზე ვიყავით დამოკიდებული, ვინ რა სახელმძღვანელოთი და რა შინაარსით წაიყვანდა საგაკვეთილო პროცესს. მომავალი წლიდან ჩვენ გვექნება სტანდარტი. რაც შეეხება მასწავლებლების რაოდენობას, 2100-მდე სკოლა გვაქვს. ყველა ჩინურის სწავლა ხელმისაწვდომი არ იქნება. მაგრამ, იმ სკოლებს, სადაც სურვილი ექნებათ, რომ ჩინური ენა ისწავლონ, დისტანციურადაც შევთავაზებთ. დისტანციურად ენის სწავლება ძალიან კარგ შედეგს იძლევა.

საჯარო სკოლებში კვების საკითხი პრობლემად რჩება - აღნიშნული პრობლემა მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია. განათლების სამინისტრო სხვადასხვა უწყებასთან ერთად ვმსჯელობთ და რამდენიმე მოდელს განვიხილავთ. თუმცა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის, სასკოლო სასადილოების მოწესრიგება, ამ პრობლემის ერთ-ერთი გასაღები იქნება.

წელს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით ახალი სტანდარტები შევიმუშავეთ. ვაპირებთ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სწორედ აღნიშნული სტანდარტების მიხედვით დაიბეჭდოს წიგნები. სკოლებში ახალი სახელმძღვანელოები შევა“- აღნიშნა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, სასწავლო პროგრამიდან არ ამოღებულა და არ შეცვლილა ის ლიტერატურა, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი და ისინი კვლავ რჩება სასწავლო პროგრამაში.

წულაძის თქმით, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2025 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საკითხები შევა სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილიდან. „ლიტერატურაშიც და ნებისმიერ სხვა დარგში არსებობს სასწავლო პროგრამის სავალდებულო და არასავალდებულო ნაწილი. 2025 წლის საგამოცდო პროგრამაში მოხდა მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც არის სავალდებულო. საკითხი იდგა შემდეგნაირად: რა უნდა შეგვეტანა გამოცდებზე - საკითხები როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ნაწილიდან თუ მხოლოდ სავალდებულოდან? ვინაიდან წინა წლებში მუდმივად უკმაყოფილებას იწვევდა, რომ არასავალდებულო ნაწილიდანაც ხდებოდა გამოცდებზე გარკვეული საკითხების შეტანა, რომლებიც მოსწავლეებს არ ჰქონდათ ისე დამუშავებული, როგორც სავალდებულო, გადაწყდა, რომ 2025 წელს ყველა საკითხი, რაც საგამოცდოდ გავა, იქნება მხოლოდ სავალდებულო ნაწილიდან.

„გვსურს, ინიციატივით მივმართოთ, რომ ის ლიტერატურა და ის ნაწარმოებები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს მოსწავლეებში ეროვნულ-პატრიოტული ღირებულებებისა და ფასეულობების გაღვივებას, გადავიდეს სავალდებულო სასწავლო ნაწილში. შესაბამისად, თუ ეს მოხდება, მომავალ წლებში, უკვე ავტომატურად ეს ნაწარმოებები შევა ავტომატურად საგამოცდო ნაწილშიც“, - განაცხადა ალექსანდრე ნულაძემ.

გვერდი მოამზადა
შუშუნა ყანაშვილმა

საქართველოს 9 აპრილის ტრაგედიის ქრილობები მოშუშებული არ ჰქონდა, რომ ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ტრაგედია დაატყდა. 1989 წლის 19 აპრილს ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემში შემავალ სოფელ ნაბლანაში ეკოლოგიური ტრაგედია მოხდა. აჭარის მალაღმთიანეთში უეცრად ჩამოწოლილმა მენყერმა სულგმანის მთის მთლიანი კალთა მოწვეცა და სოფელი ნაბლანა მენყერის ქვეშ მოაქცია. რამდენიმე წუთში მენყერმა 23 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის სამი ბავშვის. სამი ცხედარი ამ დრომდე არ არის ნაპოვნი. ტრაგედიამდეც და მას შემდეგაც ამ ხეობიდან დედოფლისწყაროში არაერთი ოჯახი გადმოსახლეს, მათ შორის გარდაცვლილთა ნათესავებიც არიან.

იმ წელს სოფელში სამ მეტრამდე თოვლი მოვიდა, რომელიც გვიანობამდე ვერ დადნა. 16-დან 18 აპრილამდე გადაუღებლად წვიმდა. 19 აპრილის დილიდან გამოიშალა. ადგილობრივებმა შენიშნეს, რომ მდინარე სხალთისწყალი გაქრა, მთებიდან კი გრუხუნი ისმოდა. აქ მენყერი 1979 წელსაც ჩამოწვა, ამიტომ გამოცდილება უკვე ჰქონდათ. 40 კომლიან ოჯახს მაშინ გეოლოგებმა გადასახლება ურჩიეს. მათი ნაწილი კახეთში გადმოსახლდა, ნაწილმა კი ნაბლანის გამოღმა არსებულ მიწებზე დასახლდა. გადასახლება 1979 წლის აპრილიდან დაიწყო. ნაწილი დედოფლისწყაროში, ნაწილიც წალკაში გადასახლეს. 40 ოჯახი მთლიანად აიყარა და სხვაგან დასახლდა.

იმ ტრაგიკულ დილას მეზობელი სოფელ ყინჩაურიდან ორი ახალგაზრდა სათევზაოდ წავიდა, თუმცა ხევს გაოგნებულნი შეჰყურებდნენ, როცა დაინახეს, რომ მდინარე დამშრალიყო და თევზები ფართხალებდნენ. მათ თევზის მოკრეფა დაიწყეს. ამ დროისთვის არცერთი სახლი წალტბული არ იყო, მაგრამ მდინარე დაწყდა.

3 კრილიდან სიზმრისეული ხილვები ჰქონდა ადგილობრივ ქალს, რომელიც სოფელს აფრთხილებდა, რომ ხეობა გასწორდებოდა და მოსახლეობას იქაურობა უნდა დაეტოვებინა. თუმცა, ქალს არავინ დაუფერა. შუადღის 4 საათისთვის მთამ, სადაც ცაცხვის დიდი ხეები იყო, მოძრაობა დაიწყო, ქარი ამოვარდა და ტალახმა ჩანჩურის ხევი ამოავსო, იქ მდებარე 5 სახლი დამარხა. მცირე ნაწილმა გაქცევა მოახერხა. ტერიტორიის დიდი ნაწილი კი ტალახმა დაფარა. შემდეგ წყალი დაგუზდა და ხეობა წყალსაცავს დაემსგავსა. ადგილობრივებმა ყვირილის ხმა გაიგეს და ტალახში 4 ადამიანის გადარჩენა შეძლეს. ორი ქალი და ორი ბავშვი სამშვიდობოს გაიყვანეს. 10 წუთით გაასწრო მზავრებით სავსე ავტობუსმა, რომელიც სოფელ კვატიისკენ მიდიოდა და ამ ადგილას გაიარა. ისინი მდინარის დამრობის მიზეზით დაინტერესდნენ და იკამათეს.

„რაიონის 650 ოჯახი მოექცა მენყერულად სახიფათო ზოლში. აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლდა 234 ოჯახი და 850 სული, მაგრამ ფერდობები ისევ გადატვირთულია მოსახლეობით. სტიქიის შემდეგ მოვიდა ავტობუსები და ხალხი გაიყვანეს. მიცვალებულთა დასაკრძალად ადამიანებიც ალარ იყვნენ,“ – გადმოსცემდა ტელევიზია.

სტიქიური პროცესების შედეგად წარმოიშვა ეკომიგრანტების დიდი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად დედოფლისწყაროს სოფლებში: სამთაწყაროსა და ფიროსმანში დასახლდნენ. საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა პირველი ორგანიზებული გადასახლება 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1981-83 წლებში, მთავრობის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში, ხობის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში და კასპის რაიონში მალაღმთიანი აჭარიდან 1,010 ოჯახის ჩასახლება განისაზღვრა.

დედოფლისწყაროს სოფელი სამთაწყარო, 1931 წელს ჰერეთიდან წამოსულმა ქართველებმა დაარსეს. 1980 წლისთვის აქ 80 კომლი ცხოვრობდა, რვანლიან სკოლაში 12 მონაწილე სწავლობდა. 1980-იან წლებში კი აქ აჭარიდან, ხულოს მალაღმთიანეთიდან ეკომიგრანტების ჩასახლება დაიწყო. პირველი სამოსახლო მიიზომა და პირველი ბარი დაჰკრა ალი ბოლქვაძემ, მას მიჰყვნენ ძმები ალიოშა და ქაზიმ დიმიტრაძეები, დავით ტაკიძე და სხვები. იქ, სადაც სამთაწყაროს საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა ახალი და-

სტიქიას გამოქცეულები



სახლება აშენდა. სპეციალურად სამთაწყაროსთვის შეიქმნა ბინათმშენებლობის ინდივიდუალური პროექტი, რომელზეც 9 რაიონის მშენებლები მუშაობდნენ. მოსახლეობასთან ერთად თავდადებით შრომობდა აჭარიდან ჩამოსახლებული 32 კომლი. სულ 550 ბინა აშენდა. ეკალ ბარდებთან ადგილები სამთაწყაროს ახალი დასახლებით შეიცვალა. აქვე ჩამოსახლდა 100 წელს მიტანებული აჭარელი უზუცესი რეჯებ ცეცხლაძე. მრავლისმნახველი რეჯება პაპას სამივე შვილი ახალ ბინაში დასახლდა, სამივე მრავალშვილიანი. „ერთ სოფელს მართო ჩემი შვილიშვილები შეავსებენ“ – ამბობდა წელში მოხრილი კაცი. მშენებლობა დაიწყო სოფელ ფიროსმანშიც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემებით სამთაწყაროში ცხოვრობდა 1037 ადამიანი, 2002 წლის აღწერით 1466 ადამიანი იყო, ხოლო 1989 წელს 1997 მკვიდრი. 11 კმ-ით დაშორებულ სოფელ ფიროსმანში აჭარე-

და ეს ოჯახი, ან რატომ არ გაიქცნენ... დღემდე არ ვიცი, შენობაში იყვნენ, თუ გარეთ... მხოლოდ ჩემი დის გათხოვილი მულები გადარჩნენ, დანარჩენი ყველა დაიღუპა. ჩემი და და მისი მეუღლე, 3-4 წლის ორი შვილი, დედა-მთილ-მამამთილი... ყველამ ცხედარი ნაპოვნია, მაგრამ დაკარგული სამი ცხედარიდან დღემდე ვერ მივაკვლიეთ ჩემი დისა და მისი ერთ-ერთი შვილის ცხედარს. ყველაფერი მოულოდნელად განვითარდა, არც ჩვენ ველოდით და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა ამხელა ტრაგედიას. დაუჯერებელი ამბავი იყო. მანამდე მცირე მენყერები ხშირად ხდებოდა, მაგრამ ხალხმა ამხელა საფრთხე ვერ გააცნობიერა. თუმცა, მე ტრაგედიამდე რამდენიმე წლით ადრე გადმოვსახლდი დედოფლისწყაროში. უკვე დაოჯახებული ვიყავი, ორი შვილი მყავდა. მეზობლები წამოვიდნენ და მეც გადმოვედი. ფიროსმანში სხალთის თემიდან გადმოსული რამდენიმე ოჯახია. უმჯობესად სოფელ ნაბლანადანაც,

ტ რ ა გ ე დ ი ი ს ადგილიდანაც წამოვიდნენ შაინიძეები და მახარაძეები. მე 1986 წელს ჩამოვედი სოფელ ფიროსმანში, ზოგი ოჯახი 1985-ში ჩამოსახლდა. პირადად ჩემი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უკვე დასრულებული იყო, 10 დღე დაველოდე და შევსახლდით.

კიდევ 4 შვილი აქ შემეძინა. ამჟამად 6 შვილი და 10 შვილიშვილი მყავს. ვინც ვერ შეეგუა აქაურ პირობებს, უკან დაბრუნდნენ, ძირითადად გაჭირვების წლებში წავიდნენ. ჩვენ ადვილად შევეგუეთ აქაურ გარემოს. ვშრომობდი, აზერბაიჯანში გადავდიოდი, პროდუქტი გადმომქონდა, ვხნავდი, ხორბალსა და სიმინდს ვთესავდი, საქონელი მყავდა და თავს ვირჩენდი. ტრაქტორი მყავდა და ვმუშაობდი. მაშინ ვენახიც არ მქონდა, ახლა უკვე ვენახიც მაქვს. ასე დავმკვიდრდი სოფელ ფიროსმანში.“

დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელი ნოდარ შაინიძე წლების განმავლობაში იმ ხეობის კულტურის სახლსაც ხელმძღვანელობდა, სადაც ტრაგედია მოხდა. 23 დაღუპულიდან 18 შაინიძე იყო.

ნოდარ შაინიძე: „სხალთაში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ოჯახი სტიქიის ეპიცენტრიდან 3 კილომეტრში სოფელ ყინჩაურში ცხოვრობს. სხალთის თემში რამდენიმე პატარა სოფელი შედიოდა, იქ სრული საშუალო სკოლები არ იყო, მხოლოდ დაბალი კლასები იყო, საშუალო სკოლა კი მხოლოდ სხალთაში იყო. სხალთის საშუალო სკოლა 1976 წელს დავამთავრე და ბოლო კლასებში უკვე 56 კლასელი მყავდა. ტრაგედიისას დაღუპული

შაინიძეები ჩემი მხოლოდ მოგვარეები იყვნენ, თუმცა მაინც ძალიან შემძრა ამ ამბავმა. 1982-89 წლებში სხალთის კულტურის სახლის დირექტორი ვიყავი, ცენტრალიზებული კულტურის სახლი იყო. საკმაოდ აქტიური კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა და ეს კერა დღემდე თავის სიტყვას ამბობს. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანსამბლები იყო, როგორც ცეკვის, ისე სიმღერის... დავდიოდით გასტროლებზეც, მოლდოვაში, მოსკოვში, ოდესაში... ქართული ფოლკლორი სხვა ერების წინაშე გაგვექონდა. პარალელურად სოფლის სკოლაშიც ვასწავლიდი და სასოფლო საბჭოს დეპუტატიც ვიყავი. მაშინ სოფლის დეპუტატიც და კულტურის სახლის დირექტორიც მეტად დაფასებული იყო.

ამ ტრაგედიის შემდეგ 1989 წლის აპრილშივე, სამთაწყაროში წამოვედი. მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი მყავდა და საფრთხეს გამოვერიდეთ. რომ არა ეს დამანგრეველი სტიქია, ალბათ ისევ იქ ვიცხოვრებდით, მაგრამ საფრთხეზე საუბრობდნენ და გადმოვედით. იქ მინა არ მქონდა, ამიტომ მამაჩემის სახლის განაპირას ჩავდგი ხის სახლი და თავდაპირველად იქ ვაპირებდი ცხოვრებას. ჩემი ძმა და მამაჩემი ადგილზე დარჩნენ, კერა არ მიატოვეს და დღემდე იქ ცხოვრობენ.

ნაბლანას ტრაგედიის შემდეგ ავტობუსები გამოყვეს და ხეობა დაცალეს, მაგრამ ერთად არ წამოესულვართ. ყველა თვითონ ირჩევდა, რომელ კუთხეში წავიდოდა საცხოვრებლად. ჯამში, სხალთის ხეობიდან 30-მდე დაზარალებული ოჯახი გადმოვიდა სამთაწყაროში, შესაძლოა, სოფელ ფიროსმანშიც იყვნენ...

ჩამოსვლისთანავე შევარჩიეთ საცხოვრებელი ადგილი. მე რამ სამთაწყაროში ჩამოვედი, სახლების მშენებლობა უკვე დასრულებული იყო და საკმაოდ დიდი სოფელი იყო. სახლები უკვე განაწილებული იყო. ჩვენი სახლი სარემონტო იყო და რამდენიმე თვე ახლობელმა შეგვიფარა, მასთან ვიცხოვრეთ, შემდეგ კი გადავედით ჩვენს სახლში. სკოლაც ამენებული იყო, ორი საბავშვო ბაღი მოქმედებდა. დიდი ხნის დაწყებული იყო გადმოსახლება, შუახევის რაიონიდან გადმოსულები სახლების მშენებლობაშიც ჩართულნი იყვნენ. 80-იან წლებში ასობით ოჯახი ჩამოსახლდა. რაც შეეხება აქაურობასთან შეგუებას, თავდაპირველად ჩემს მეუღლეს გაუჭირა და კლიმატთან შეგუება. ავადობდა და ექიმთან რომ მივედით, აკლიმატიზაციის ბრალი იყო და ნელ-ნელა შევეგუეთ და დავმკვიდრდით დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელში. სხვა მხრივაც ადვილად შევეგუეთ აქაურობას. აჭარლები და ჰერეთიდან გადმოსული ოჯახები ცხოვრობდნენ, ჩემს უბანშიც ბევრი ინგილოა. საოცარი თანადგომა და ურთიერთგაგება იყო. არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა. ხალხმა მესაქონლეობას მიჰყო ხელი, ვენახები გვექონდა, ნაყოფიერად მუშაობდა მევენახეობის ძლიერი მეურნეობა და ასე ავანყეთ ცხოვრება. სახელმწიფოს მხრიდან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობდით. საცხოვრებელი სახლების გაფორმება და დამტკიცება გვიან მოხდა, ბოლო დრომდე პრობლემად იყო ეს საკითხი, მაგრამ არც არავინ მოგვდავებია.

ვინც ვერ შეეგუა წავიდნენ, იყო ასეთი შემთხვევებიც, რომ უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ძირითადი ნაწილი დარჩა. სხვათაშორის, 1989 წელს, ჩამოსვლისთანავე სამი-ნელო გვალვა დემთხვა, ეს ყველას ახსოვს. ცხელი ზაფხული იყო, არც მოსავალი მოვიდა, ჰავასთან შეგუება გაუჭირდათ და ამის გამო ზოგი უკან დაბრუნდა. თავდაპირველად მეურნეობაში მხატვრული წრის ხელმძღვანელად დავინყე მუშაობა და კანტორაში ქართულ ცეკვებსა და სიმღერას ვასწავლიდი. ჩამოსვლიდან სულ რამდენიმე თვეში, 1990 წლის მარტიდან სამთაწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელად დავინიშნე და დღემდე მუშაობ. სკოლასა და ბაღშიც ვმუშაობდი. ამიტომ, სამთაწყაროს ცხოვრებაში ყოველთვის აქტიურად ვიყავი ჩართული.

/დასასრული ბოლო გვერდზე/



ლების ჩამოსახლება 1980 წლიდან დაიწყო. მოსახლეობის რაოდენობა, 2002 წელს 759-ს შეადგენდა, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით კი სოფელ ფიროსმანში 569 მოსახლე იყო.

სოფელ ფიროსმანში მცხოვრები ალექსანდრე (იოსკა) ბარამიძე სხალთის ხეობაში დაიბადა და გაიზარდა, დედოფლისწყაროში ტრაგედიამდე რამდენიმე წლით ადრე გადმოსახლდა. თუმცა, დაუნდობელ სტიქიას ხეობაში დარჩენილი მისი ოჯახი ვერ გადაურჩა. მან ნაბლანას ტრაგედიის დროს დის ოჯახი დაკარგა. დისა და მისი მცირეწლოვანი შვილის ცხედარი ამ დრომდე ნაპოვნი არ არის. ბარამიძე გაზეთ „შირაქს“ საკუთარ ისტორიას უამბობს.

იოსკა ბარამიძე: „ჩემი ოჯახი სხალთის სოფელ ყინჩაურში ცხოვრობდა, 8 შვილიან ოჯახში გავიზარდე, სამი ძმა და 4 და მყავდა. ჩემი ერთ-ერთი და ნანი ნაბლანაში შაინიძეების ოჯახში გათხოვდა, ორი შვილი შეეძინა. სწორედ ეს ოჯახი იმსხვერპლა ნაბლანას ტრაგედიამ. მათი სახლი ხევის გამოღმა მხარეს, შედარებით მაღლობზე იდგა, ამიტომ წყალი ადვილად ვერ ავიდოდა. მაგრამ, მთა მეორე მხრიდან წამოვიდა და მათი სახლი წაიღო. სტიქია შუადღის საათებში მოხდა და ჩემთვის უცნობია, ამ მომენტში სად იმყოფებო-

ქრისტი აღდგა!

აღდგეს ღმერთი, მიმოიფანტონ მისი მტრები და მისი მოძულენი ივლტოდნენ პირისგან მისისა; და როგორც ქრება კვა-მლი, - განქარდნენ ... მართლები კი გა-ნისარებენ და იზეიმებენ ღმერთის წინაშე და სიხარულით დატკებებიან (ფს. 67. 2-3).

როგორი დიდი ნუგეშია წმ. დავით მე-ფის ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში! როგორი იმედითა და სულიერი სიხარუ-ლით გადაეცემოდა თაობიდან თაობას ბო-როტებაზე გამარჯვების ეს საგალობელი. დაიდი ჟამის აღსრულებას კი უკვე თითქ-მის 2000 წელია გამორჩეულად აღნიშნავს კაცობრიობა; ჩვენც დღეს ამ ზეიმის მო-წაწილენი ვართ.

კიდევ ერთხელ მინდა მოკლედ შეგახ-სენოთ, თუ როგორია გზა სამოთხიდან, მიწიერი ყოფის გავლით, ცათა სასუფე-ვლაშდევ.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღმერთ-მა ხილულ სამყაროში თავის ხატად მხო-ლოდ ადამიანი შექმნა და დაადგინა სხვა ქმნილებათა განმგებლად; მისცა თავისუ-ფლება და ედგინა ბაღის პატრონობა და-ავალა; იგი უნდა ყოფილიყო ამ ბაღის და ცნობადისა და სიცოცხლის ხეთა ბრძენი მცველი; დანარჩენი ქმნილებები კი მას უნდა დამორჩილებოდნენ. ამით შემოქმედ-მა განსაკუთრებული პატივი მიაგო ადა-მიანს და არჩევანი ბოროტებასა და სიკე-თეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მის ნებას მიანდო. ჩვენს პირველმშობელთა მიმართ ამგვარი ამაღლებული დამოკიდე-ბულების გამო შურით აღძრულმა ბორო-ტმა სულმა აცდუნა ისინი და განამორა ღვთის დიდებას; ქვეყნიერება კი დარჩა უფლისგან დადგენილი მზრუნველის გა-რეშე. ბოროტი ძალა მხოლოდ ადამისა და ევას შეცდენით არ დაკმაყოფილებულა; ათასგვარი ხერხით იგი დღემდე ცდილ-ობს, თავისივე გადაბირის კაცობრიობა და საბოლოოდ აღხოცოს მასში ღვთის ხატება. მაგრამ ადამიანი ცოდვამ და სიკვდილმა ბოლომდე მაინც ვერ დასცა. ყოვლადღოერი, ცოცხალი, კურთხეული, უხილავი ღმერთის (როგორც ძველ აღთქ-მაში ხშირად იხსენიება შემოქმედი) რწმენა განსაკუთრებით დიდი იყო რჩეულ ერში; მიძიმე და დაძაბუნებულ მდგომარეობა-შიც კი, ამ წიაღში საუკუნეთა მანძილზე ჩნდებოდნენ ღვთისსათნო და რჩეული პიროვნებები, რომლებიც ზეცისკენ მიმა-ვალ გზას უჩვენებდნენ ხალხს. ისინი იმ იმედით იყვნენ აღვსილნი, რომ შემოქმე-დი არ დაუშვებდა მუდმივ დასჯილობაში ცხოვრებასა და სიკვდილს და დაგვიბრუ-ნებდა დასაბამისეულ პატივს. ამიტომაც, გულდასმით იძიებდნენ სამოთხისეული მდგომარეობის დაკარგვის მიზეზებს და საზოგადოებაში მარადიული ღირებულე-ბების განმტკიცებისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ; ამასთან, ღვთისსათნო ცხო-ვრების მაგალითს, პირველ რიგში, თვი-თონ იძლეოდნენ.

* * *

მაცხოვარმა დედამიწაზე იმ წყევლის ქვეშ იცხოვრა, რაც ადამის მოღვაშე ცო-დვის გამო დაიმსახურა. თავად ყოვლად უცოდველმა იტყირთა უბრალო ადამიანის ყოფა, დაიბადა რა ხუროს ოჯახში, რომე-ლიც ყოველდღიური შრომით მოიპოვებდა სარჩოს. ამასთან, განკაცებული უფალი თავისი ნებით ითმენდა ტკივილს, შიმშილს, დაღლას ... შემდეგ კი, - უმადურობას, სი-ცრუეს, ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ღალატს ... როგორი წარმოუდგენელია, რომ ღმერთი შენს გვერდით, შენი ცხო-ვრებით ცხოვრობს; უცოდველი ცოდვილ-თა შორის ჩვენს მიძიმ ზეგდრის ტვირთუ-ლობს, რათა მოგვეცეს მაგალითი რწმენის, სიმინდის, დათმენის, სიკეთის, სიყვარუ-ლის ... და რეალურად დაგვანახოს, რო-გორი უნდა იყოს ადამიანი. 30 წლის იესო უცხადებს კაცობრიობას, რომ აღსრულდა საუკუნეთა მოლოდინი, განკაცდა მხსნე-ლი, რათა შემოქმედი დაეხმაროს თავის ქმნილებას და ჩვენთვის ყოველი კეთილი შესაძლებელი გახადოს. ამასთან, ხილული სასწაულებით უფალი მრავალგზის ამოწ-ნებს, რომ აქვს ძალმოსილება, განკუთნოს მეტისმიერი უძლეულება და სნეულება, გა-ათავისუფლოს ადამიანები ბოროტი სულე-ბისგან, აზიაროს ისინი ღვთის სიბრძნეს; რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, დაამყა-როს მშვიდობა, დაამარცხოს თვით სიკე-ვლით და აღადგინოს მკვდრები... მაგრამ ღვთის რჩეული ერის დიდი ნაწილი და მისი სულიერი წინამძღოლნი საბოლოოდ მაინც უგარძნობნი დარჩნენ უფლის მოწო-დების მიმართ, ზურგი აქციეს ცხოვრების წინამძღვარს და მისი დასჯა მოითხოვეს.

რელიგია

პასნიაჩის სააღგომო აქისსოდე

იგივე მოხდა ყველაზე ძლიერ და, ფა-ქტობრივად, იმ დროის ყველაზე წარმატე-ბულ სახელმწიფოშიც, - რომის იმპერიაში, რომლის წაწილსაც ისრაელი მაშინ წარ-მოადგენდა. რომმა ღვთის სიბრძნეს და სამართალს თავისი იურიდიული კანონები შეაგება. აქ კი წესად ჰქონდათ: იმათგან, რომელნიც არ იყვნენ რომის მოქალაქე-ნი, თუკი ვინმე იმპერიულ ღირებულებე-ბთან და მისწრაფებებთან შეუთავსებელი იქნებოდა, თუნდაც იგი ჭეშმარიტების მქადაგებელი ყოფილიყო, ყველაზე დამა-მცირებელ სასჯელს უქვემდებარებდნენ - ჯვარზე აკრავდნენ. ჯვარი წარმოადგენდა სიმბოლურ სახეს იმისას, რაც სიბნელეს, უმეტრებას, ბოროტებას უკავშირდებო-და და, მათი აზრით, სიკეთისა და ცივი-ლიზაციის მტრობას ნიშნავდა. საერთო შედეგი კი ასეთი დადგა: ცოდვას დამო-ნებულმა და სიკვდილს შეგუებულმა კა-ცობრიობამ ღმერთის მეუფებას თავისი ჩვეული ყოფა ამჯობინა, ჭეშმარიტ სი-მართლეს სრულიად უსამართლო განაჩენი გამოუტანა და თავად სიცოცხლეს ჯვარ-ზე სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა. ამა-ზე დიდი დაცემა აღარ არსებობს! ამაზე დიდი ცოდვის წარმოდგენა შეუძლებელია! მაშინ ზეციური ძალები შეძრუნდნენ, ანგელოზები განცვიფრდნენ, სტიქიონე-ბი შეირყა, მთელი ქმნილება შეიძრა, მზე განერიდა, ქვეყანა სიბნელემ მოიცვა, კრეტსამხელი განიპო, ანგელოზმა ტაძარი დატოვა ... (წმ. კირილე ალექსანდრიელი). მაგრამ როგორ უპასუხა უფალმა ამ ენი-თაუწერელ დანაშაულს? გამაოგნებლად! მიუთხრობელი დათმენით, სიბრალული-თა და სიყვარულით. მან მორჩილად და უდრტვინველად მიიღო განაჩენი და არ შეენიწააღმდეგა. არ გამოიყენა ღვთიური ძალა და არ გასცდა ადამიანური შესა-ძლებლობების ფარგლებს, რათა მთავარი მიზანი ბოლომდე აღესრულებინა, - თავი-სი ყოვლადუცოდველი კაცობრივი სულის ღმრთებრივი ძალმოსილებით ჯოჯოხე-თი დაეთრგუნა და სიკვდილი შეემუსრა, ბოროტი ძალისთვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა და მართალთათვის ცათა სასუფეველის გზა გაეკვალა.

გაეცხსენოთ ისიც, რომ ჯვარცმის წინ უფალი გულმზურვალედ ლოცულობ-და გეტოსიმიანის ბაღში და, ცხადყოფდა რა თავის ადამიანურ ბუნებას, ევედრე-ბოდა მამა-ღმერთს, თუ შესაძლებელი იყო, აეცილებინა მისთვის მოსალოდნე-ლი ზეგდრი. ამავე დროს, იგი სთხოვდა თავის ერთგულ სამ მოწაფეს, ლოცვით შესწეოდნენ, რადგან მისი სული დამძი-მებული იყო სიკვდილის მოლოდინით; მა-გრამ მათ ეს ვერ შეძლეს, - ადამიანური უძლეურობით ჩაეძინათ. სამგზის სცადა მათი სიფხიზლის შენარჩუნება უფალმა, მაგრამ ამაოდ, რითაც დედამიწამ არჩენა, რომ რჩეულ მოწაფეთაც იმუჟამდ არ ქონ-დათ შინაგანი ძალა, უძძიმეს განსაცდელ-ში მაცხოვრისთვის მცირედი თანადგომა გაეწიათ.

* * *

უფლის ჯვარცმით კაცობრიობამ გა-ნაჩენი არა მარტო იესო ქრისტეს გამოუ-ტანა, არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ამიერიდან ქრისტეს მიმდევართათვის ხსნა სულიერ ჯვარცმას დაუკავშირდა. რა თქმა უნდა, მიძიმეა ეს გზა, ეს ჯვარი, მაგრამ, ამასთან, მადლმოსილია იგი და მიმზიდვე-ლი, ერთადერთია და გადამრჩენელი; ამი-ტომაც ჰყავს ქრისტეს ეკლესიას ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი ამდენი წმინდანი და ერთგული შვილი. როდესაც ჩვენი მიწიერი ყოფა შენც უსამართლოდ დაგამცირებს, შეურაცხყოფს და გაგრიყავს, რადგან ჭეშმარიტებას ეძიებ და უარს ამბობ ცო-დვილ კეთილდღეობაზე, იცოდე, ამით სო-ფელი აცხადებს, რომ შენ მისი არ ხარ; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ უფლისა ხარ; ანუ იმ ჯვრის მტვირთველი ხარ, რომელიც ქრისტეს მიმდევართათვის იქცა სამართ-ლიანობის, ერთგულების, ღირსების, სიკე-თის, ჭეშმარიტების ხატად და მარადიული სიცოცხლის ნიშნად. მაცხოვარი გვიხმობს ყველას და განგვამტკიცებს: „განსაცდელი გექნებათ ამქვეყნად, მაგრამ გამხსნევდით, მე ვძლიე სოფელს“ (ინ.16,33) და „თქვენ-თანა ვარ, დღემუდამ, ვიდრე აღსასრუ-ლამდე ქვეყნისა“ (მთ.28,20) ... „დაიცავით ჩემი მცენებები და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულდებათ“, (ინ.14,15,13) ოლონდ, როგორც „მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (ინ.13,34).

დღეს მსოფლიოში მრავალგვარი

რთული პროცესი მიმდინარეობს; დროც, თითქოს, დაჩქარდა; მოვლენებიც და შეხედულებებიც სწრაფად იცვლება; დაპი-რისპირებულობა, არასტაბილურობა, ეკო-ლოგიური პრობლემები, მუდმივი სტრესი, ომები ... ჩვენს საერთო რეალობად იქცა. მშვიდობის მოსურნეთა მონდომება დიდია, თუმცა შედეგის მიღწევა იოლად არ ხდება ...

ღმერთმა დალოცოს მშვიდობისმყო-ფელნი, ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს მსოფლიო! არსებულმა ვითარებამ ყველა უფრო მეტად უნდა დააფიქროს სიცო-ცხლის არსზე და მარადიულ ღირებულე-ბებზე. ჩვენ მარადიული ნეტარებისთვის ვართ შექმნილნი; აქ, ამქვეყნიურ ყოფა-ში, კი დროებითის და წარუვალის, მისის და ზეცის კავშირით უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ სწრაფვა მარადიულობასთან სიახლოვისკენ, მუდამ უნდა გვექონდეს, რაც პირველ რიგში ეკლესიის საშუალებით მიიღწევა. მხოლოდ ეკლესია გვიცხადებს სიცოცხლის ნამდვილ მიზანს, გვახედებს ჩვენს სულში და სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ყველაზე ჭეშმარიტ და სწორ შე-საძლებლობას გვთავაზობს. ის არ გვთხო-ვს შეუძლებელს; პირიქით, გვიხმობს ჩვენი სისუსტეებით და მათ დასაძლევად ძალას გვაძლევს. ის გულში გვიკრავს, მაგრამ უკეთურ ქმედებას არ მოგვიწოდებს. ამას-თან, ჩვენს სულიერ და შინაგან ძალებს განამტკიცებს და ყველაზე რთულ ვითა-რებაშიც იმედს არ გვაკარგვინებს. საე-კლესიო დღესასწაულთა შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი აღდგომას აქვს, რადგან სწორედ იგია წინასახე ზეციურ უხრწნელებაში ჩვენთვის მარადიული სი-ცოცხლის მონიჭებისა. რას ნიშნავს ეს? როდესაც ჩვენ გზიმიობთ უფლის აღდ-გომას, ამავე დროს, ვდღესასწაულობთ უხრწნელი სხეულით ჩვენს მომავალ და-მკვიდრებას ცათა შინა. იესო ქრისტემ მოგვცა მაგალითი როგორც ამქვეყნად სწორად ცხოვრებისა, ისე გვიჩვენა მისი შედეგიც,- სასუფეველში მართალთა და-მკვიდრებისა. „ვიზიადან კაცის მიერ იქმ-ნა სიკვდილი, და კაცის მიერვე აღდგომა მკვდრეთით და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყვე-ლა“ (I კორ.15.21-22). კაცობრიობის საყო-ველთაო აღდგომის რწმენა არის ქვაკუ-თხედი ქრისტიანული აზროვნებისა; ვინაც ეს არ სწამს და თავს მაინც ქრისტიანად თვლის, ძალიან ცდება და, სინამდვილე-ში, მაცხოვრებელ ჭეშმარიტებასთან საერ-თო არაფერი აქვს, რადგან, როგორც პა-ვლე მოციქული ბრძანებს, „თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა და ... თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ჩვენი ქადაგებაც და ჩვენი რწმენაც“ (I კორ.15.16,14). „...მაგრამ როგორ აღდგე-ბიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მო-ვლენ“

რასაც შენ თესავ (იგულისმება მცენა-რის თესლი), ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა; ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებმაში, აღდგება უხრწნე-ლებამში; ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში... ითესება სხეული მშვიდნიე-რი, აღდგება სხეული სულიერი“ (Iკორ. 15,35-36; 42-44). სწორედ რწმენა მარა-დიულ ნეტარებაში დაბრუნებისა, აძლევს აზრს ჩვენი ყოფის იმ წესს, რაც უფალმა გვასწავლა და გულისხმობს: სხვათადმი მსახურებას, თავმდაბლობას, დათმენას, თანაგრძნობას, თანადგომას, ზნეობრიო-ბას, მშვიდობისმყოფელობას, გულის სინ-მინდეს, სულის სიმტკიცეს, უმზრველო-ბას, თავდადებას ... ჯვარცმის შემდეგ ისინი, რომლებიც საფლავთაგან აღდგნენ, გახდნენ პირველი მქადაგებელნი ქრისტეს აღდგომისა. და როგორ არ დაიჯერებდნენ აღდგომის სასწაულს ისინი, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ გახსნილ სამარეებს და ისმენდნენ საფლავთაგან გამოსულთა ქადაგებას?! როგორ არ დაი-ჯერებდნენ აღდგომის სასწაულს მენელ-საცხებლე დედები და მოწაფეები, როცა 40 დღის განმავლობაში ჰქონდათ ურ-თიერთობა უხრწნელი სხეულით აღმდგარ უფალთან და მისგან დარიგებებს კვლავ იღებდნენ!? როგორ არ დაიჯერებდნენ მომხდარს იესო ქრისტეს ასობით სხვა თვითმხილველნიც და მისი ცად ამაღ-ლების მოწმენი!? ეს ურყევი რწმენა და უფლის სწავლებანი შინაგანად სულიერად განბრძნობილმა და განმტკიცებულმა მო-ციქულებმა და ეკლესიამ მთელ ქვეყანაზე განავრცეს.

* * *

წმ. ეფრემ ასური წერს: „მკვდართა აღდგომისას მინა უკან აბრუნებს ადა-მიანს ისეთივეს, როგორიც იყო; იმათაც, ვინც ზღვამ შთანთქა, ვინც მხეცებმა და ფრინველებმა შეჭამეს, ვინც ცეცხლში დაინვა ... აქ ერთმანეთის უნახავნი, იქ იხილავენ ერთურთს; დედა იცნობს, რომ ეს მისი შვილია, და შვილი იცნობს, რომ ეს მისი დედაა ... ამასთან, თითოეულის სხეული თავის საქმეებს აჩვენებს, რადგან თითოეული ჩვენგანი ამ საქმეებს საკუთა-რი სხეულით ატარებს და ყველას შესაბა-მისად მიეგება საზღაური“.

ადამიანი არ არის ცალკე არც სული და არც სხეული, არამედ - მათი ერთობა. ასე შეიქმნა იგი თავიდანვე; ამ ერთობას არღვევს სიკვდილი, რაც ცოდვის შედეგია; აღდგომით ჩვენი განახლებული სხეული და სული კვლავ შეერთდება და ღირსათვის სამოთხისეული მდგომარეობა უფრო აღ-მატებული სახით დაბრუნდება. ეს კი მეო-რედ მოსვლის შემდეგ აღესრულება, როცა შეიქმნება ახალი მიწა, ახალი ცა, სიკვდილი სრულად განქარდება და მარადისობაშიც ჩვენი საბოლოო დამკვიდრება მოხდება. მაგრამ ვიდრე არ დამდგარა ყამთა აღსას-რული და გარდაცვლილთა სულები თავისი უხრწნელი სხეულით შემოსვის მოლოდინ-ში არიან, ვიდრე შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და სხვათადმი, ასევე, იმქვეყნად წასულ ჩვენს ახლობელთათვის ლოცვა და სიკეთის ქმნა, ადამიანთა გამოხსნის პროცესი ბოლომდე დასრულებული არ არის. გვჯერა ეს თუ არ გვჯერა, გვსურს ეს თუ არა, რეალობა ერთია, - ჩვენი არსებობა ამ წუთისოფლით არ მთავრდება. ამქვეყნად აღვასრულებთ არსებობის იმ სახეს, რაც გარდაცვალების შემდეგ ჩვენს მომავალ ცხოვრებას განაპი-რობებს. ასე რომ, ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით, აზროვნებითა და მეტყვე-ლებით, ჩვენ თვითონ ვძერწავთ, ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს მარადიულობას, - კარგს ან ცუდს. და როგორც სამოთხეში, ისე აქაც, დედამიწაზე, ჩვენზეა დამოკი-დებული, რას ავირჩევთ მიზნად: სიკეთეს თუ ბოროტებას, სიცოცხლეს - თუ სიკე-დილს? აირჩიე სიკეთე და სიცოცხლე! ამით დაამტკიცებ, რომ აფასებ ღვთის სიყვარულსა და მსხვერპლს შენს გადა-სარჩენად გაღებული და აფასებ საკუთარ სიცოცხლეს, - შემოქმედის უდიდეს წყა-ლობას შენდამი. მაღლისმიერი განდმრ-თობის შესაძლებლობაზე დიდი რა უნდა იყოს ადამიანისთვის! ამიტომაც რა პრო-ფესიისა და ასაკისაც არ უნდა იყო და რა საქმესაც არ უნდა აკეთებდ, ყოველივე მიმართე ღვთის სადიდებლად და მის სამ-სახურად; და „ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, ნუ დაემორჩი-ლებით მის (სხეულის) სურვილებს“ (რომ 6.12). „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმინდისა, რომე-ლიც გაქვთ ღმრთისაგან და არ ეკუთვნით თქვენს თავს. ადიდეთ ღმერთი, თქვენი სხეულითა და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა!“ (რომ. 18,19-20)

დღეს მსოფლიოს ეფინება საოცარი საგალობელი: „ნათელ-ილე, ნათელ-ილე, იერუსალემ, რამეთუ მოწვეწულ არს ნა-თელი შენი და დიდებაი უფლისაი შენ ზედა გამობრწყინდა, და ვიდოდიან ყოვე-ლნი ნათესავნი ნათელსა შენსა! განიღვი-ძე, განიღვიძე, სიონ! განიღვიძე და აღდეგ იერუსალემ! და დაიდგ გვირგვინი სიკე-თისა შენისაი, სიონ, და შეიმოსე დიდებაი შენი, იერუსალემ! განიძარცუე სამოსელი გლოვისა შენისაი და შეიმოსე სამკაული სიხარულისა შენისაი, ქალაქო წმიდაო, რა-მეთუ „პა ესერა მწუხრსა განისუენა ტი-რილმან და ცისკარს მას მოიწია სიხარუ-ლი აღდგომისაი“ (მელეტი ანტიოქიელი).

აღდგომილმა მაცხოვარმა თქვენც მოგმადლოთ სიხარული! ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ყოვლადწმინდა სამებად დაგლოცოთ, სულიერად განგა-მტკიცოთ და განგაძლიეროთ თითოეული თქვენგანი! მუდამ გახსოვდეთ, აღდგომა არის მარადიულობის იმედი და მწუხარე-ბის განქარვების დღე, აღდგომა მტრო-ბის დამარცხება, შურზე, ბოროტებაზე და სიკვდილზე გამარჯვება; აღდგომა პა-ტიება, გამოსყიდვა და სიხარული; აღდგო-მა სიყვარულის ზეიმი და შესაძლებლობა საუფლო სხეულში ყველას განახლებისა და ქრისტეში გაერთიანებისა.

ქრისტი აღდგა!

ჟამგარითად აღდგა!

თქვენთვის მლოცველი, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, თბილისი, აღდგომა ქრის-ტესი, 2025 წ.

რომის პაპი გარდაიცვალა - რა ხდება ამის შემდგომ?

პაპი ფრანცისკა 2025 წლის 21 აპრილს, ვატიკანში გარდაიცვალა. რომის კათოლიკური ეკლესიის 88-ე პაპი.

ვატიკანის ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნით, პაპი ფრანცისკე გარდაიცვალა ინსულტით, რომელსაც გულსისხლძარღვთა სისტემის კოლაფსი მოჰყვა. რომის პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული იყო ორმხრივი პნევმონიის, ჰიპერტონიისა და მეორე ტიპის დიაბეტის გამო.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 20 აპრილს პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში, წმინდა პეტრეს ტაძრის მოედანზე შეკრებილ ათასობით მორწმუნეს ტაძრის აივანიდან აღდგომა მიულოცა. პაპი აივანზე ეტლით გაიყვანეს. ტრადიციული სააღდგომო მიმართვა მის ნაცვლად არქიეპისკოპოსმა დიეგო ჯოვანი რაველიმ წაიკითხა.

არგენტინელი კარდინალი, ერისკაცობაში ხორხე მარიო ბერგოლიო რომის პაპად 2013 წლის მარტში აირჩიეს, მას შემდეგ, რაც ტახტიდან გადადგა პაპი ბენედიქტე XVI.

ვატიკანმა გამოაქვეყნა პაპ ფრანცისკეს ანდერძი, რომელიც მან გარდაცვალებამდე დაახლოებით სამი წლით ადრე დაწერა.

2022 წლის 29 ივნისით დათარიღებულ ანდერძში პაპი ფრანცისკე აღნიშნავს, რომ რადგან მინიერი ცხოვრების დასასრულს გრძნობს და მარადიული სიცოცხლის იმედი აქვს, სურს გამოთქვას ბოლო სურვილი დაკრძალვის ადგილის შესახებ.

პაპმა ითხოვა, რომ დაკრძალონ სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკაში, საფლავი იყოს სადა, წარწერით: ფრანცისკე.

ღვთისმშობელ მარიამის სახელობის ტაძარი, სანტა მარია მაჯორე რომის

პაპის ოთხი ბაზილიკიდან ერთ-ერთია. ფრანცისკეს ანდერძში მითითებულია ბაზილიკის კონკრეტული ადგილი, სადაც დაკრძალვა სურს. პაპი აღნიშნავს, რომ დაკრძალვის ხარჯი დაიფარება ქველმოქმედისგან მიღებული თანხით, რომელიც მისი განკარგულებით გადაერიცხება სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკას.

პაპი ფრანცისკე მადლობას უხდის ყველას, ვისაც უყვარდა და მისთვის ლოცულობდა და ანდერძს ასრულებს სიტყვებით, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდში თავის ტანჯვას უფალს უძღვნის მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა შორის ძმობისთვის.

რომის პაპის გარდაცვალების შემდგომი რიტუალები აღნიშნავს ერთ-ერთი პაპობის დასასრულსა და შემდეგის ეპოქის დასაწყისს. ამ ორ მოვლენას შორის არის გარდაცვლილი პაპის დაკრძალვისა და ახალი პაპის არჩევის პროცედურები. კერძოდ, რა რიტუალებს მოიცავს ეს გარდამავალი პერიოდი:

- ვატიკანის კამერლენო (კარდინალი კევინ ფარელი) ოფიციალურად ადასტურებს მის გარდაცვალებას, ლუქას მის კერძო საცხოვრის და ამზადებს დაკრძალვას.
- კამერლენო და მისი სამი თანაშემწე იღებენ გადაწყვეტილებას, როდის უნდა დასვენონ პაპი წმინდა პეტრეს ტაძარში. ისინი აგრეთვე უზრუნველყოფენ, რომ პაპის „მეთევზის ბეჭედი“ და მისი მთავარი შტამი გატყდეს ისე, რომ ისინი ველარავინ გამოიყენოს. ავტოფსია არ ტარდება.
- სამელოვიარო რიტუალი გრძელდება ცხრა დღის განმავლობაში, დაკრძალვის თარიღს კარდინალები განსაზღვრავენ. პანაშვიდები ჩვეულებრივ იმართება ხოლმე წმინდა პეტრეს მოედანზე, გარდაცვალებიდან 4-6 დღის განმავლობაში. ფრანცისკეს



ნათქვამი აქვს, რომ, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ის არ დაკრძალონ წმინდა პეტრეს ტაძრის საძვალეში, არამედ რომის წმინდა მარიამის ტაძარში. მისი თხოვნა იყო აგრეთვე, რომ ის ჩაასვენონ უბრალო, ხის კუბოში.

- გარდამავალ პერიოდში ყოველდღიურ საქმეებს კარდინალების კოლეგია უძღვება. მათ შეზღუდული ძალაუფლება აქვთ და წმინდა საყდრის მართვის დიდი ნაწილი დაპაუზებულია.
- ახალი პაპის არჩევის კონკლავი დაიწყება ვატიკანის სიქსტის კაპელაში, პაპ ფრანცისკეს გარდაცვალებიდან 15-20 დღეში. ზუსტ თარიღს კარდინალები ადგენენ.
- ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია 80 წლამდე ასაკის ყველა კარდინალს. ახალი პაპის ასარჩევად საჭიროა ხმების ორ მესამედს პლუს ერთი რაოდენობა. ამდენად, კენჭისყრას შეიძლება რა-

მდენჯერმე ჩატარდეს და პროცესი დღეების განმავლობაში გაგრძელდეს. როცა კენჭისყრა დასრულდება, ახალ პაპს სთხოვენ თანხმობას და აგრეთვე მან უნდა თქვას - რა სახელით სურს პაპობა.

• პაპის არჩევას მსოფლიო შეიტყობს მას შემდეგ, რაც ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენელი ქაღალდის ბიულეტენებს სპეციალური ნივთიერებების გამოყენებით დაწვავს და კაპელიდან თეთრი კვამლი ამოვა. სხვაგვარ ნივთიერებებს იყენებენ უშედეგო კენჭისყრის ნიშნად შავი კვამლის ასამკვებად.

• კარდინალთა კოლეგიის დეკანი წმინდა პეტრეს ტაძრის მთავარ აივანიდან გამოაცხადებს - **Habemus Papam** (გვყავს პაპი). ამის შემდეგ ახალი პაპი გამოვა და მოედანზე შეკრებილ ხალხს დალოცავს.

რამ გამოიწვია პაციენტის გარდაცვალება?

დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკში მცხოვრები 24 წლის ახალგაზრდა მამაკაცი გურჯაანის საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, მუცლის ტკივილით დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ახალგაზრდა მამაკაცი 17 აპრილს საკუთარი ფეხით მივიდა.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოში განმარტავენ, რომ მუცლის ტკივილი ვერ მოეხსნა, რის გამოც ორგანოების მდგომარეობის სანახავად გაკვეთა დაიგეგმა. გადიდებული იყო ღვიძლი და სავარაუდო ინტოქსიკაციის ნიშნები ჰქონდა. მოგვიანებით კი მდგომარეობა დამძიმდა და პაციენტი კატასტროფის ცენტრმა გურჯაანში გადაიყვანა.

ქირურგის, შოთა ქუფარაშვილის განმარტებით, ახალგაზრდა მათთან მწვავე კრიტიკულ მდგომარეობაში შევიდა. „როგორც აღნიშნავდა, მუცლის ტკივილს სამი დღის განმავლობაში უჩიოდა. ჩვენთან შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაკეთდა, თუმცა ადგილზე დიაგნოსტიკისთვის კომპიუტერული ტომოგრაფია არ გვაქვს. გაკვეთის დროს სხვა პრობლემა არ ჩანდა და ქირურგის ჩარევა საჭირო აღარ იყო“...

გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, რომ ახალგაზრდა ჯანმრთელი იყო და კრიტიკული ვითარება ექიმებმა ვერ მართეს.

ელიზბარ ალუღიშვილი

დედოფლისწყაროს საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გამოაკლდა. ელიზბარ ალუღიშვილს, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სერიოზული კარიერული მიღწევები ჰქონდა-მუშაობდა როგორც საჯარო სექტორში, ასევე საბანკო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. პროფესიონალიზმის მიღმა იყო კარგი ადამიანი, შესანიშნავი მამა და მეუღლე.

მისი ნაადრევი გარდაცვალება თავზარდამცემი აღმოჩნდა მთელი დედოფლისწყაროსთვის. რაიონმა დაკარგა კარგი პროფესიონალი და ადამიანი, მშობლებმა-საუკეთესო შვილი, მეუღლემ და ოთხმა შვილმა-მზრუნველი მეუღლე და მამა, მეგობრებმა - საიმედო და უღალატო მეგობარი.

მშვიდობით, ელიზბარ, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა! უფალს ებარებოდე.

გაზეთი „პირაქის“ რედაქცია



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებას გამოთქვამს მეგობრის

ელიზბარ ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ ალუღიშვილს შვილის

ელიზბარ ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ ალუღიშვილს შვილის

ელიზბარ ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

ერთი კადრი წარსულიდან

1920 წელი, შირაქის ველზე ახლადგაშენებულ სოფლებში ასეთი სახლები იდგა. ფოტო დაცულია ზემო ქედის კულტურის სახლში/



/მეხუთე გვერდიდან/

გვიჩივრდა მთიან აჭარასთან კონტაქტი. სამთაწყაროდან აჭარამდე მთელი საქართველო უნდა გაიარო და მერე მაღალმთიანეთში ახვიდე, ეს ძალიან რთული და ხარჯიანია. ამის მიუხედავად, პირველ წლებში ორ თვეში ერთხელ მაინც მივდიოდი. იქაურთა მენატრებოდა, მერე ნელნელა შევამცირე. მაგრამ, ახლაც წელიწადში 1-2 ჯერ ვახერხებ წასვლას. ხან ჭირია, ხან ლხინია, ნათესავები გვყავს, კონტაქტი ყოველთვის ჭირდა. ადრე ხომ არც ინტერნეტი და ტელეფონი არ იყო, მხოლოდ წერილს ვგზავნიდით.

როცა ეს უდიდესი ტრაგედია მოხდა, იმ დროს სოფლის დეპუტატი და კულტსახლის დირექტორი ვიყავი. ამიტომ, გარდაცვლილების ფოტოები მოვგროვე, კარდაკარ ვიარე, ყველა მათგანის პორტრეტს თავი მოვუყარე, გავადიდე და ეკლესიასთან გამოფენა გავაკეთეთ. შემდეგ უკვე აქეთ ვცხოვრობდი და წლისთავზე, 1990 წელს სამთაწყაროს კულტსახლშიც მოვანყეთ ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. დაღუპულების ახლობლებიც მოვიდნენ და იმდენად აქტიურად ჩაერთვნენ საორგანიზაციო საკითხებში, მეორე განყოფილების ორგანი-

სტიქიას გამოქცეულები

ზებაც მოხერხდა და შესაძლოა ითქვას.

ვალიკო აბაშიძე (მერის რწმუნებული სოფელ ფიროსმანში): „უშუალოდ სოფელ ნაბლანადან ფიროსმან-

მშენებლობა 1985-86 წლებში მიმდინარეობდა. პირველი მოსახლეებიც ვიცი, ეს იყო ვლადიმერ ქიზინიძის, თემურ ქიზინიძისა და დავით თავდგირიძის ოჯახები. ეს სამი ოჯახი 1985



სამთაწყარო

ში 10 ოჯახი მაინც იქნება, მაგრამ ისინი ძირითადად ტრაგედიამდე გადმოსახლდნენ. ძირითადად 1987-88-89 წლებში წამოვიდნენ. აქ სახლების

წლის დეკემბერში შესახლდა, სამივე შუახევის რაიონიდან. ზოგადად, ფიროსმანში ძირითადად ხულოსა და შუახევიდან წამოსული ეკომიგრანტე-

ბი ცხოვრობენ. მასიური ჩამოსახლება 1986 წლის მარტი-აპრილიდან დაიწყო. სოფელში ცხოვრობდა ერთი აქტიური კაცი, შალვა სურმანიძე, მისი ინიციატივით ტრადიციულ დამკვიდრდა, ყოველი წლის 19 აპრილს საკლავი იკვლება და ნაბლანის ტრაგედიას პატივს მივადგებთ. სპეციალურად ამისთვის მინდორში მაგიდაც მოვანყეთ. ბოლო ხანს რატომღაც აღარ შევკრებილვართ, თორემ თითქმის ყოველწლიურად ვახდენდით ამის ორგანიზებას. ამას გარდა, წლების წინ ავტობუსებით მიდიოდნენ ტრაგედიის ადგილზე მემორიალთან და სტიქიის შედეგად დაღუპულებს პატივს მიაგებდნენ.

„წითელწყარო ლეზულობს აჭარის უსახლკაროდ დარჩენილ 300 ოჯახს. სამთაწყაროელები შეისახლებენ 45 ოჯახს, ხოლო ფიროსმანი 20-ს. ნათესავებთან უკვე ცხოვრობს 21 კომლი. მზადყოფნაშია სამშენებლო ორგანიზაციები, რომ ოჯახებს მშენებარე სახლები დაახვედრონ. წითელწყაროდ დაზარალებულთათვის გადარიცხა 93 000 მან, ცალკე ჩარიცხეს სოფლებმაც,“ – წერდა გაზეთი „შირაქი“ 1989 წლის მაისში.

ილია მარტყოფლიშვილი

ბრძოლა — გადარჩენისთვის

დედოფლისწყაროელ 31 წლის ირაკლი გადინაშვილს ჩვენი დახმარება სჭირდება. მას უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს. მედულობასტომა, ანუ თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე. საქართველოში წარმატებით გაუკეთდა ოპერაცია, მაგრამ სამწუხაროდ კიდურების კონტროლი აღარ განხორციელდა და მეტასტაზები ქვედა კიდურებში გავიდა.

ირაკლი გადინაშვილი: „2022 წელს უეცრად საშინელი და გაუსაძლისი თავის ტკივილები და თავბრუსხვევა დამეწყო. მანამდე არაფერი მანუხებდა და სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. ძლიერმა ტკივილმა რომ იმატა და წამალს შედეგი არ ჰქონდა, კომპიუტერული ტომოგრაფია გადამიღეს, სადაც თავის ტვინზე აღმომაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე, მედულობასტომა, რომელიც ზომით 6 სანტიმეტრზე მეტი იყო. 2022 წლის ნოემბრის ბოლოს გავიკეთე ოპერაცია კლინიკა „ჯერარსში“, კისერთან უზარმაზარი სიმსივნე ამოკვეთეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, კარგი პასუხები მქონდა. შემდეგ მკურნალობა და სხივური თერაპია გავიარე თოდუას კლინიკაში. ერთი წლის განმავლობაში თავს კარგად ვგრძნობდი, ტკივილები აღარ მქონდა, ვმოძრაობდი, საქმესაც ვაკეთებდი. მაგრამ 2024 წელს ისევ ახალი პრობლემა დაიწყო. აპრილიდან დეკემბრამდე ვერსად დავადგინეთ მიზეზი.“

გასული წლის აპრილიდან დამეწყო ტკივილები. დრო გადიოდა და უარესდებოდა ჩემი მდგომარეობა. რამოდენიმე კლინიკაში ვიყავი, ყველა საჭირო ექიმი მოვიარე, მაგრამ უშედეგოდ... ზუსტი პასუხი ვერაფერ მიიღია, ყველა მედიკამენტებს მინიშნავდა, მაგრამ არანაირი შედეგი არ მოყოლილია. მხოლოდ ჩემით არჩეულ წამლებს ჰქონდა დროებითი ეფექტი. ბოლოს მიღების წესები ერთის მაგივრად გაექცნა, გაშვიდმაგდა. ყველაფერი შემეზღუდა: მოძრაობა, ძილი, ნოლა, ჯდომა... წამლების მიღების დრო და დოზების მატებაზე ვეღარ მშვევლოდა.

საჭირო იყო თურქეთში წასვლა, მაგრამ ფინანსები არ მქონდა და დროულად ვერ წავიდი. შემდეგ ნათესავებმა გამოაქვეყნეს ფეისბუქ პოსტი ჩემს დასახმარებლად და ამ დროს გახმაურდა ჩემი მდგომარეობა. ძალიან დიდი მად-

ლობელი ვარ ყველასი ვინც გვერდით დამიდგა და დამეხმარა. თავიდანვე თურქეთში მკურნალობას ვაპირებდი, მაგრამ რადგან ფინანსები არ მქონდა და დრო არ ითმენდა, ამიტომ თბილისში დავინწყე. ოპერაციის გაკეთებიდან 2 წლის განმავლობაში და მკურნალობიდან დასრულების შემდეგ 1 წელი კარგად ვიყავი.



კონტროლზეც მივდიოდი და არაფერი იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტასტაზები ქვედა კიდურებში გავრცელდა ისე, რომ არ ველოდი. ქართველი ექიმების უკმაყოფილოც არ ვარ, უბრალოდ, აქ აზრად არავის მოსვლია, რომ წელს ქვევით, ქვედა კიდურები გამოეკვლიათ, ან ეკონტროლებინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩივილებით მივდიოდი ყველა კლინიკასა თუ ექიმთან. 28 ძლიერი დასხივება გავიკეთე, რამაც 100%-იანი შედეგი მოიტანა. ძირითადად თავი და ხერხემალი მქონდა კონტროლში, ქვედა კიდურები არავის უფიქრია, ამიტომ თავიდან დაიწყო ყველაფერი. თურქეთშიც დამიდასტურეს, რომ ძალიან კარგი და საუკეთესო მდგომარეობა მაქვს თავსა და ხერხემალზეც.

საქონელი გავყიდეთ და მერე საკუთარი ფინანსებით წავიდი თურქეთში, სადაც ჩამიტარდა კვლევები. ამის შემდეგ 2024 წლის დეკემბერში მეორედ წავიდი თურქეთში, იქაც გავიარე თითქმის ყველა ექიმის კონსულტაცია ბოლო შედეგამდე, რომ ზუსტი პასუხი

გარკვეულიყო და არ ემარჩილათ თუ რისგან იყო ჩემი ეს მდგომარეობა გამოწვეული. რადგან დამაკმაყოფილებელი და ნორმალური იყო ყველა ანალიზის და კვლევის პასუხი. შემდეგ უკვე მოითხოვეს პეტ-კატეს გადაღება და 2 კვირაში პასუხი იყო საშინელი და საგანგაშო, რაზეც ისევ კვლევები და სასწრაფოდ ბიოფსიის გაკეთება მოითხოვეს. მე კი რაც ფინანსები მომეპოვებოდა, სულ ამ ყველაფერში დაიხარჯა და ვერანაირად ვეღარ მოვახერხე წასვლა ისევ ამ ყველაფრის გასაკეთებლად.

როგორია ასეთ დიაგნოზთან ბრძოლა და ამის გააზრება?

— საკმაოდ ძლიერად ვდგავარ, ვიცოდი, რომ დარდიანად ნერვიულობით ვერაფერს მოვიგებდი... არანაირი გატეხვა ჩემ შემთხვევაში არ ყოფილა. ბევრს უკვირს და მეც არ ვიცი როგორ შევძელი. ღმერთს მივეწვევ, უფლის ნებით როგორც იქნებოდა... წარმოიდგინეთ, რომ მენჯ-ბარძაყის ძვალი და სახსარი აღარ მაქვს, თურქი და აქაური ექიმებიც ვერ იჯერებდნენ რომ მაინც დავდიოდი... წესით ამ მდგომარეობაში ეტლში უნდა ვმჯდარიყავი. ძალიან დამღლევი და საშინელია მოლოდინით ცხოვრება, ნატვრით, რატომ ვარ ასე საშინელ გაუსაძლის მდგომარეობაში. რთული იყო გააზრება, რომ ვერსად გაიგეს რეალური მიზეზი და ათასნაირი წამლებს ვღებულობდი. მხოლოდ ეს იყო, დანარჩენი ეტაპები ნორმალურად გადავტახე. არანაირი შიში, ან უკან დახვევა არ მქონია. დავაგვიანე, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ დღევანდელით, რადგან ამჟამად არანაირი გამაყუჩებელი და წამალი აღარ მჭირდება, გარდა ექიმის დანიშნულის მკურნალობისა. მთლიან სხეულის კონტროლი რომ მქონოდა, ახლა ეს პრობლემა არ იდგებოდა. თუმცა, დღეს ტკივილი და მისგან გამოწვეული საშინელი შეტევები აღარ მაქვს, ნორმალურად ვვადები და ვწვევები თავისუფლად. ესეც დიდი შეგება ჩემთვის. მანამდე თვეების მანძილზე ეს ბედნიერება არ მქონდა. ტკივილებისაგან ჯდომას, ნოლასა და ძილს ვერ ვახერხებდი, ეს ყველაფერი სხივებმა და ქიმიის კურსმა გააუშვებოდა. მეტასტაზები უცებ და სწავი ტემპით მოედო ქვედა კიდურებს: სახსრები, ფეხის ძვლები ძალიან დამიზიანა და დამიშალა.

როგორია შენი ერთი დღე?

— ისევ სრულიად უმოქმედო ვარ,

ბევრი პროცედურა მაქვს ჯერ კიდევ გასაწველი. ალბათ ცოტა ხანში უფლის ნყალობით სრულიად უწინდებურად ყველაფერი წესრიგში მექნება და ძველ რეჟიმს დავუბრუნდები. ახლა ვერაფერს ვაკეთებ და ვერაფერს ვახერხებ. ამიტომ, ძირითადად კლინიკა და სახლია ჩემი დღის განრიგი.

გამოჯანმრთელების შემდეგ რისი გაკეთება გინდა, რაზე ოცნებობ?

— ყველაფერს სრულად რომ დავასრულებ მერე გამორჩდება. მანამდე ვერაფერს ვგეგმავ, მხოლოდ სრულად გამოკეთებას და გამოჯანმრთელებას ვნატობ. ამ ყველაფერს რომ დავასრულებ, მერე ოპერაცია და მკურნალობაც მომიწევს, რადგან წამლების ჭარბმა და ხანგრძლივმა მიღებამ ორგანიზმიც დამიავადა. პირველ რიგში მენჯ-ბარძაყის ოპერაცია დამჭირდება. ვნახოთ რა იქნება, ჯერ ისეთს არაფერს ვგეგმავ.

სამინისტროსთვის აქამდე არ მიმიმართავს. დაფინანსებისთვის განაცხადი ახლახან შევიტანე, მაგრამ უარი მომივიდა. მანამდე დედოფლისწყაროს მერიას მივმართე რადგან კვლევები მჭირდებოდა და 1000 ლარით მერიამ უზრუნველმყო.

ამ პერიოდში ვისი მხარდაჭერა იგრძენი?

— მართლა ძალიან ბევრია ასეთი... ოჯახის შემდეგ ნათესავებს, ახლობლებს და ყველა იმ ღვთისნიერ ადამიანს ვეცხვი მადლობას, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ შეძლებისდაგვარად ყველანაირად დამეხმარნენ ფინანსურად, თუ მორალურად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ბევრ რამეში გამოიხატა მათი თანადგომა. 1 ლარიანი დახმარებაც კი მაძლიერებდა, სტიმულს მმატებდა და ძალას მაძლევდა ბრძოლის გასაგრძელებლად. ყველანაირი გვერდში დგომა მაგრძნობინეს, მხოლოდ ფინანსურს არ ვგულისხმობ...

დახმარების მსურველებს შეგიძლიათ მხარდაჭერა გამოხატოთ:

პ/ნ 14001028436 ირაკლი ბედიანაშვილი.

GE88BG0000000499468522

საქართველოს ბანკი.

GE13TB7985345061100078

თიბისი

GE15LB0211138470251000

ლიბერთი.

ამინდი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
15°	4°	7°	3°	14°	6°	19°
15°	4°	7°	3°	14°	6°	19°

გამომცემელი შპს „შირაქი“

დირექტორი **ივანე შიოლაშვილი**

რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები);

ხათუნა ბინაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი);

ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაშვილი (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.

ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი

დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,

☎ 0 356 22 22-85;

„შირაქის“ ელ.ფოსტა:

gazetishiraki@gmail.com

598 72-18-72 (დირექტორი)

593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია

დედოფლისწყაროს

სასამართლოს მიერ,

№ 6014-468.

გაზეთის გამომწერა

წელიწადში – 20 ლარი